სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი შაბათი 4 სექტემბერი 2004 №205 (2226) ფასი 50 თეთრი

ერსუნ იანალი: თქვენი ბრალია, ბერძნებზე ათჯერ იაფი რომ ღირხართ

ვაჟა ხუციშვილი ტრაპიზონიდან

–საქართველოსთან გამარჯვება 8-8 ათას დოლარად შეგიფასებიათ, საბერძნეთი ჯი ათჯერ მეტი ღირს...

– ეს მხოლოდ თქვენი ბრალია. საქართველო ფიფას რეიტინგში ასეულს ქვემოთაა, ბერძნები ჯი ევროპის ჩემპიონები არიან და ათეულში ტრიალებენ. რამდენიმე თვის შემდეგ ვითარება რომ შეიცვალოს და საქართველომ რეიტინგში აიწიოს, ფასიც შესაბამისი ექნება. შესარჩევი ციკლი ორი წელი გრძელდება და ყველაფერია მოსალოდნელი. ამიტომ სტრატეგიაც შესაბამისი შევარჩიეთ, რომლის მიხედვითაც ვიმოქმედებთ.

ინტერვიუ ერსუნ იანალთან იხილეთ მესამე გვერდზე

REUTERS-ის ფოტო

ჩაკვეტაძეზემ მისკინას ილაჯი გაუწყვიტა

ტყეებუჩავამ ჟირეს 0:0 აჩვენა



REUTERS-ის ნიუ იორკიდან

US OPEN 2004

ეს დღეებია, სეზონის ბოლო სლემტურნირი, ამერიკის ღია პირველობა გახურდა და ერთი-ორი წრეც მოილია. ფავორიტები ძირითადად ფავორიტობენ, თუმც ზოგიერთ მათგანს ნაადრევად მოუწია ნიუ იორკიდან გამოსამგზავრებელი ბილეთების დაკვეთამ. იძლია ოლიმპიური ჩემპიონი, ჩილელი ნიკოლას მასუ და კიდევ რამდენიმე ყოჩაღი ჯეელი.

ქალებში კი მთავარი დანაკლისი წლევანდელი „როლან გაროსის“ მთავარქალი ანასტასია მისკინა გახლავთ, ვისაც სეზონის სლემ-დაგვირგვინების იმედი მოუსპო გვარით ქართველმა ქალმეჩოგნემ ანა ჩაკვეტაძემ. 17 წლის წინათ მოსკოვში დაბადებული ჩაკვეტაძე რუსული პასპორტით მიიკვლევს გზას ქალთა ჩოგბურთში.

თურქებს ავსტრიული მუსიკა არ მოეწონათ

ოსმალო ოსმალოზე: ნახე, რას ჯადრულობს?!

გუშინ რიზეში გოჩა ტყებუჩავას მისმა კოლეგებმაც, ალენ ჟირესმა და გია გურულმა უქომაგეს

ახალგაზრდულები

რიზე. 3 სექტემბერი. 20 საათი. ათათურქი

თურქეთი 0:0 საქართველო

თურქეთი: ფევზი, მუჰამედი, მეჰმეთი, ტაიფუნი (მეჰმეთ ტოპუზი 68), ბექირი, ჰანეფი, საბრი (ესერი 82), ფაჰრი, უმუთი, ბილალი (ადუმი 59), სემიჰი	**საქართველო:** თოთლაძე, ციმაკურიძე, კაშია, იმედაშვილი, მ. ლომიძე, თ. ბურნაძე (გრიგალაშვილი 78), გ. ნუგ. ჭელიძე, ალადაშვილი, გოგუა, ხოჯავა (გეწაძე 69), გ. ნოდ. ჭელიძე (მოდებაძე 60)
სათადარიგონი: ვოლქანი; ჯანერი, ალი, სერკანი	*სათადარიგონი:* შეყრილაძე; ჩიკვილაძე, დათუნაიშვილი, ფიფია
მწვრთნელი: რაშით ჩეტინერი	**მწვრთნელი:** გოჩა ტყებუჩავა

გაფრთხილება: ჰანეფი (45), გ. ნუგ. ჭელიძე (51), საბრი (79)

მსაჯები: გერალდ ლებნერი; რაიმუნდ ბუხი, ოლივერ დრასტი; რობერტ შოეგენჰოფერი (ყველა ავსტრია)

ვაჟა ხუციშვილი ტრაპიზონიდან

გოჩა ტყებუჩავამ ნამატჩევს გაანცხადა, კარგია, უმაყურებლოდ რომ დაგეხვდნენ მასპინძლებიო. თურქეთში გულშემატკივრობა ბევრს ნიშნავს და ათათურქის სტადიონზე ოსმალოთა შემგულიანებელი ღრიანცელი რომ არ ისმოდა, ეგებ ამ შემთხვევაში კიდეც წაადგა ჩვენს ახალგაზრდულს. თუმც ორი წლის წინ რიზეშივე ქართველებმა დამხვდურები გადაჭედილ „ათათურქზე" ასათიანის გოლით დაამარცხეს, მეორე დღეს კი ეროვნული ნაკრები „დიდმა" თურქებმა დაგვიჩაგრეს.

ამჟამინდელი თურქი ახალგაზრდები ორი წლის წინანდელებს ნაღდად სჯობდნენ და გუშინ მთელი მატჩის განმავლობაში უტევდნენ. ქართველები დაცვაში ჰყავდათ გამომწყვდეული, მაგრამ გოლი მაინც ვერ გაიტანეს. ხან მცველები და მეკარე ყოჩაღობდნენ, ხანაც თავად მასპინძლები სცოდავდნენ. ხისტი თამაში იყო და ავსტრიელი მსაჯიც წარამარა უსტვენდა. ფეხბურთელები არაერთხელ წაკინკლავდნენ კიდეც და კინკლაობა თურქთა უხეშობას მოჰყვებოდა ხოლმე. რამდენიმე ქართველს ექიმის დახმარებაც დასჭირდა, რასაც მასპინძლები დროის გაყვანის მცდელობად მიიჩნევდნენ. ერთხელაც, როცა ჩვენი ფეხბურთელი ტკივილისგან იგრიხებოდა, ოსმალოთა თავკაცმა თავის შეგირდებს თამაშის გაგრძელება მოსთხოვა. მათაც ჯენტლმენობაზე არ უფიქრიათ და შეტევა წამოიწყეს. ამის მნახველი ერთ-ერთი თურქი ჟურნალისტი ალალად გაბრაზდა. რაშით ჩეტინერისკენ თითი გაიშვირა და მეგობარს უთხრა, აბა, უყურე, რას კადრულობსო.

პირველ ტაიმში მასპინძლებს ოთხი საგოლე მომენტი ჰქონდათ. სემიჰი ორჯერ აღმოჩნდა მეკარის ბაქნის კუთხესთან, მაგრამ კარის გასწვრივ პასი ჯერ იმედაშვილმა ჩაუჭრა, მერე კი თავად სემიჰმა დაჰკრა უხეიროდ და ბურთი ხარიხას გადაევლო.

ამის შემდეგ საბრის შესრულებული საჯარიმო დარტყმა იყო. ბურთი მეკარისგან მარჯვენა ძელმა აისხლიტა. ტაიმის მიწურულს საბრიმ კიდევ ერთხელ სცადა, მაგრამ თოთლაძემ ივარგა.

მეორე ნახევრის ბოლოს ოსმალომ შეტევა გააძლიერა და კარში ოხრადაც ურტყა. ქართველ მცველთა ფეხებიდან ბურთმა რამდენჯერმე სახიფათოდ იცვალა მიმართულება, მაგრამ კარის ჩარჩოს ასცდა.

81-ე წუთზე ჭელიძემ დაახლოებით 35 მეტრიდან დაჰკრა. მეკარე ოდნავ წინ იყო გამოსული და ბურთი ბოლო წამს ხარიხის ქვემოდან გამოაძრო. ამის მერე საბრიმ და უმუთმა სცადეს თავურები, თუმც ორივემ ააცილა.

შეხვედრის დასრულებისთანავე თურქები მსაჯს მისცვივდნენ, მაგრამ აქაურმა სპეცრაზმელებმა ავსტრიელები გასახდელამდე მიაცილეს.

დაბოლმილი თურქი ფეხბურთელების დაშოშმინებას პოლიცია დასჭირდა

ჰოლანდია — ლიხტენშტაინი. მარკო ვან ბასტენის გუნდს მეტოქის დაჩაგვრა, რა თქმა უნდა, არ გასჭირვებია



ესპანეთი — შოტლანდია. ამ თამაშს ხათაბალა არ დაჰკლებია, შუქიც წავიდა და მოედანზე გულშემატკივარიც შევარდა

ინგლისი

I ლიგა. VII ტური

უიკომბი 1:1 ოქსფორდი

გერმანია

ჩრდ. რეგიონალლიგა. VII ტური

ზტ. პაული 1:0 უნიონი

ოსნაბრიუკი 2:2 არმინია (მ)

სამხრ. რეგიონალლიგა. V ტური

აალენი 3:2 შტუტგარტი (მ)

ოფენბახი 2:3 ელვერსბერგი

საფრანგეთი

II დივიზიონი. VI ტური

კლერმონი 0:1 სედანი

კრეტეი 2:3 ბრესტი

გენიონი 1:1 ლავალი

გენგამი 0:1 დიჟონი

ლე მანი 1:0 ლე ავრი

ლორიანი 1:2 ანჟე

ნიორი 0:1 მონპელიე

რეიმსი 1:1 გრენობლი

ჰოლანდია

II დივიზიონი. IV ტური

სპარტა 0:0 ემენი

ზვოლე 3:0 ოსი

აპელდორნი 2:0 ჰელმონდი

დორდრეხტი 2:0 ჰერაკლესი

ეინდჰოვენი 2:3 ვოლენდამი

სიტარდი 3:0 იგლსი

მაასტრიხტი 1:1 კამბური

ჩეხეთი

გამარუნუს ლიგა. I ტური

ლიბერეცი 3:0 ბლშანი

ირლანდია

პრემიერლიგა. XXV ტური

სტ. პატრიკსი 2:0 შემროკი

შვეიცარია

ჩელენჯლიგა. VI ტური

ბულე 3:5 ლუცერნი

ბადენი 0:1 ლუგანო

ბელინცონა 5:1 მეირინი

ბაულმესი 1:0 იუვენტუსი

კრინსი 2:2 ვინტერთური

შო დე ფონი 1:2 კიასო

ამხანაგური მატჩი

ჰოლანდია 3:0 ლიხტენშტაინი

2006 წლის ევროპის ახალგაზდული ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი

რუმინეთი 5:1 მაკედონია

II ჯგუფი

ალბანეთი 1:1 საბერძნეთი

დანია 3:2 უკრაინა

III ჯგუფი

ესტონეთი 0:0 ლუქსემბურგი

ლატვია 1:2 პორტუგალია

IV ჯგუფი

საფრანგეთი 1:0 ისრაელი

ირლანდია 3:0 კვიპროსი

V ჯგუფი

იტალია 2:0 ნორვეგია

VI ჯგუფი

აზერბაიჯანი 0:1 უელსი

ავსტრია 0:2 ინგლისი

VII ჯგუფი

ბელგია 3:0 ლიტვა

სან მარინო 0:5 სერბეთი

VIII ჯგუფი

ხორვატია 1:0 უნგრეთი

მალტა 0:1 შვედეთი

ისლანდია 3:1 ბულგარეთი

ვაჟა ხუციშვილი
ტრაპიზონიდან

ჯაშუშის ჩანაწერები

ერსუნ იანალი: თქვენი ბრალია!

გუშინ შუადღით ქალაქის ცენტრში გავედი და რამდენიმე ასეული წყვილი შიშველი ფეხი დავინახე. პარასკევი თურქეთში დიდი ლოცვის დღეა. მთავარ მეჩეთში ყველა მლოცველი ვერ დაეტევა და ამიტომ მეჩეთის გარშემო მუხლმოყრილები ემასლაათებიან ალაჰს. ამის გამო მოედანზე მოძრაობაც კი შეფერხდა და რამდენიმე ავტომობილის საბურავი შიშველ ფეხებს ოდნავ ასცდა. ვიფიქრე, ნეტავ თურქეთის ნაკრების ფეხბურთელებიც სალოცავად ხომ არ არიან წასულნი-მეთქი და სასტუმრო „ზორლუ გრანდისკენ" გავუტიე.

ფოიეში ავედი. ხუთი-ექვსი სტუმარი იჯდა. ჩემი ყურადღება ერთმა წყვილმა მიიპყრო. მწვანემაისურიანი, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჭალარაშერეული კაცი ასაკით მასზე უფროსს ელაპარაკებოდა. ახალგაზრდას მაისურზე თურქეთის დროშა ეხატა. ორ-სამ მეტრში ჩავუარე და მომესმა, რომ ტაქტიკას არჩევდნენ. „მწვანე" აშკარად ერსუნ იანალს ჰგავდა და ჩემი ვარაუდის დასამტკიცებლად სასტუმროს პერსონალს მივაკითხე. თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელიაო, დამიდასტურეს და ეგრევე მივაჭერი. მოვუბოდიშე და ვთხოვე, თუ შეგიძლიათ, ათი წუთი დამითმეთ-მეთქი. ნახევარ საათში გამოიარეო, მითხრა.

ნახევარი საათის „მოსაკლავად" გარეთ გამოვედი, ფეხსაცმელების გამპრიალებელი პატარა ბალღები დამესივნენ. მათ მოვერიდე და უკანვე შევბრუნდი. საოცარი ბავშვები არიან. ამ საქმით დაკავებულ მოზარდებს თურქეთის ნებისმიერ ქალაქში ნახავთ. ერთდროულად შავად, ყავისფრად, თეთრად გათხუპნული ხელები აქვთ. ფეხსაცმლის გაპრიალებისას სრუტუნებენ და ცხვირს ხელით იწმენდენ.

ფოიეში შებრუნებული ველოდი ერსუნ იანალს. ორი წლის წინ თურქეთ-საქართველოს ამხანაგური მატჩის შემდეგ შენოლ გიუნეშიც შეგვპირდა, ნამატჩევს ვისაუბროთო, მაგრამ სიტყვა გატეხა.

ერსუნ ბეის მოლოდინში სასტუმროს თურქეთის ნაკრები მოადგა. ფოიეში შემოვიდნენ ბიულენთ ქორქმაზი და ჰასან შაში. ისინი სხვებზე უკეთეს ხასიათზე იყვნენ და ლიფტის კართან ლლაბუცობდნენ. მათგან ორიოდ ნაბიჯში ვიდექი და, ეტყობა, სასტუმროს დაცვის თანამშრომელმა მიუცხოვა. მხარზე ხელი დამკრა და მკითხა, ვინ ხარ და აქ რატომ დგახარო. ერსუნ იანალს ველოდებიმეთქი. შენ კი ელოდები, მაგრამ შეხვედრა შეთანხმებული თუ არისო. თავი დავუქნიე. არ დამიჯერა და მწვრთნელთან მივიდა. ჩემსკენ თითი გამოიშვირა და იანალს დაეკითხა. ერსუნ ბეიმ გამომხედა და დაუდასტურა. მცველი მოვიდა და მითხრა, ფეხზე ნუ გაჩერდები, დაჯექიო. ამასობაში ორის ნახევარი გახდა და ჩემი რესპონდენტი წამოდგა. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და ეს მოკლე ინტერვიუც გაიჩარხა.

— შესარჩევი ციკლის პირველ მატჩს შინ თამაშობთ და, ცხადია, მოგებას გეგმავთ. ფრე თქვენთვის ცუდი შედეგი იქნება?

— ჩემმა გუნდმა ნებისმიერ შეხვედრაში მხოლოდ მოსაგებად უნდა ითამაშოს, მე ასეთი ნაკრების შექმნას ვაპირებ. გამარჯვებაზე როცა ვსაუბრობ, აუცილებელი არაა 3:0 და 4:0. დღეს 1:0-ზე თანახმა ვარ, თუმც ვინ იცის, შეხვედრა შეიძლება ფრედაც დამთავრდეს. ბოლოს კი აღმოჩნდეს, რომ სწორედ ამ ქულის წყალობით გავედით ჯგუფიდან.

— პრემიების ახალი სისტემა რამდენად წაახალისებს თქვენს ნაკრებს?

— ნაკრების ფეხბურთელებს ფული არ აკლიათ. როცა ეს ახალი სისტემა წარვუდგინეთ, ყველამ მითხრა, ფულისთვის არ ვთამაშობთო. გასაგებია, მაგრამ მატერიალური წახალისება აუცილებლად მიმაჩნია.

— საქართველოსთან გამარჯვება 8-8 ათას დოლარად შეგიფასებიათ, საბერძნეთი კი ათჯერ მეტი ღირს...

— ეს მხოლოდ თქვენი ბრალია. საქართველო ფიფას რეიტინგში ასეულს ქვემოთაა, ბერძნები კი ევროპის ჩემპიონები არიან და ათეულში ტრიალებენ. რამდენიმე თვის შემდეგ ვითარება რომ შეიცვალოს და საქართველომ რეიტინგში აიწიოს, ფასიც შესაბამისი ექნება. შესარჩევი ციკლი ორი წელი გრძელდება და ყველაფერია მოსალოდნელი. ამიტომ სტრატეგიაც შესაბამისი შევარჩიეთ, რომლის მიხედვითაც ვიმოქმედებთ.

— ქართველებიდან ყველაზე მეტად ვის უფრთხით?

— შოთა არველაძეს და ალექსანდრე იაშვილს. მათი უყურადღებოდ დატოვება წამითაც არ შეიძლება.

— დაცვაში პრობლემები გაქვთ. ერგიუნი და სერვეტი დაშავებულნი არიან...

— თურქეთი ფეხბურთელების ნაკლებობას არ განიცდის. მათი შემცვლელები უკვე მოვნახეთ.

საუბრის გაგრძელება მსურდა, მაგრამ ერსუნ იანალს ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა მოაკითხა, სასადილოში მივდივართო. ერსუნ ბეი ადგა და მომიბოდიშა. წასვლის წინ კი მითხრა, თურქული გცოდნია და წელან ჯაშუშივით იმიტომ დაძვრებოდიო.

მთავარი თურქული სპორტული გაზეთი „ფანატიკი" გუშინ ასეთი სათაურით გამოვიდა: „ბევრი ტრავმირებული!" ბევრი მას შემდეგ გახდა, რაც ილდირაი ბაშთურქს ერგიუნი და სერვეტი დაემატნენ. ილდირაი ბაშთურქი რომ ვერ ითამაშებდა, ეს ერთი კვირის წინაც იყო ცნობილი. თურქი ფეხბურთელები გასულ ორშაბათს სტამბოლში შეიკრიბნენ და ვარჯიშის მეორე დღეს ერგიუნმა ფეხი იტკინა. გუშინ მას სერვეტი მიემატა და უკვე სამი გამოვიდა. ბაშთურქი ნახევარმცველია, ერგიუნი მარცხენა მცველი, ხოლო სერვეტი ცენტრალური. ერსუნ იანალმა მათ ნაცვლად „რიზესფორიდან" კურშატ დუომუშს, „ტრაბზონსფორიდან" ჰუსეინ ჩიმშირს უხმო.

გუშინდელ გაზეთში აეროპორტში შოთა არველაძის ნათქვამი ეწერა, ჩემს მეორე სამშობლოში ჩამოვედიო. ამავე გაზეთში იყო თურქთა მწვრთნელის პასუხი, ტრაპიზონელებს შოთა კი უყვართ, მაგრამ ეს ჩვენი ეროვნული ნაკრების მატჩია და არ მეეჭვება, რომ გულშემატკივრები ჯიგრით გვიქომაგებენო. აქ ჩამოსვლამდე თურქულ საინტერნეტო გვერდებში ვნახე ფრაზა, რომელიც ერსუნ ბეის ეკუთვნის: „საქართველო დაახლოებით რუსეთის ნაკრების ყიდაზე თამაშობს". გამიკვირდა. ახლა კი თქვენ გაგიკვირდებათ, გუშინდელ „ფანატიკში" რაც ეწერა: „ჩვენი მეტოქე სიცივეში და წვიმაში თამაშს მიჩვეულია. ამიტომ მზიანი ამინდი გვინდა". უკვე თქვენც ეჭვობთ ალბათ, რომ იანალს რუსეთში ვეშლებით.

თურქთა ნაკრების შეცდომა არაფერია გაზეთ „თურქიეს" მავანი კორესპონდენტის შეცდომასთან. „თურქიეს" მიმომხილველი, მეჰმეთ ემინ ულუჩი წერს: „საქართველოს ნაკრებში ბევრი ევროპელი ლეგიონერია. დაცვაში „მილანის" კახა კალაძე, შუაში კაპიტანი ნემსაძე და ხიზანიშვილი, რომლებიც „დინდიში" ერთად თამაშობენ. „ფრაიბურგიდან" კობიაშვილი და ცქიტიშვილი. კიდევ, გიორგი ქინქლაძე „დერბიდან", ხოლო გოგა გახოკიძე პსვ-დან. რაც შეეხება შეტევას, აქ ყველასთვის კარგად ნაცნობი ბიჭები არიან: შოთა და არჩილ არველაძეები. ტყუპებიდან შოთა „რეინჯერსშია", არჩილი კი „კიოლნში". ნიჰათის სოსიედადელი თანაგუნდელი დემეტრაძე არანაკლებ სახიფათოა და ბოლოს „ფრაიბურგის" მეგოლე ალექსანდრე იაშვილი".

გაზეთი რამდენჯერმე შევამოწმე, მაგრამ აშკარად 3 სექტემბრისაა.



თურქეთის ნაკრებს ტრაპიზონში დიდის ამბით დახვდნენ

geo_geo_fan@hotmail.com

საქართველო, გაუძელი და იჭიდავე!

დღეს საღამოს მატჩია, რომელმაც მეტწილად უნდა განსაზღვროს, რისი შნო აქვს საქართველოს ნაკრებს და რა ვქნათ ჩვენ: გვქონდეს იმედი, თუ ახლავე ჩავიქნიოთ ხელი. კი, რა თქმა უნდა, ერთი მატჩი ყველაფერს არ წყვეტს, მაგრამ რასაც ნიშნავს კარგი თუ ცუდი დასაწყისი, თავად მოგეხსენებათ.

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, დღეს ბოლოჯერ წარმოგიდგენთ თურქეთთან მატჩისწინა წერილებს, ხვალიდან კი თურქეთ — საქართველოს მატჩის თქვენეულ შეფასებებს ველით.

ბატონი იური გელოვანი გვწერს, მაგრამ რამდენს გვწერს — სრული ერთი საგაზეთო გვერდის ზომის წერილს, რომლის სრულად დაბეჭდვას ჩვენ ვერ შევძლებთ. ბატონი იურის წერილის დედააზრი ის გახლავთ, რომ ქართული ფეხბურთის შეფობას ოდენ პირადი ანგარება ამოძრავებს და განგებ აკეთებს ყველაფერს, ჩვენმა ფეხბურთმა რომ ვერ გაიხაროს. ჩვენი ფეხბურთის ჩამორჩენის კიდევ ერთ მიზეზად კი პატივცემული ავტორი ქუჩის ფეხბურთის სიკვდილს მიიჩნევს. კიდევ გვწერს, „ნაკრების გამოცდილმა ფეხბურთელებმა ახალგაზრდები არ უნდა დაჩაგრონო.

ჩვენი მომდევნო ავტორი კი KASPERON-ის ფსევდონიმით ინიღბება და გვწერს:

— თუ ჩვენი ნაკრები ბოლომდე დაიხარჯება, არა მგონია, მოგება გაგვიჭირდეს, იმიტომ რომ თურქები ვერ განენყობიან სათანადოდ ამ თამაშზე. თავიდან შეგვიტევენ, მაგრამ 15 წუთი თუ თამაშის საშუალება არ მივეცით, მერე აღარაფერი გამოუვათ. ისე, ფრეც (და სამაკატკა თელაველ ბავშვს) არ იქნება ურიგო შედეგი.

თუ თქვენ ჩვენი გუშინდელი მიმოხილვა არ წაგიკითხავთ, ვერ მიხვდებით, რა შუაშია თელაველი ბავშვი. საქმე ის არის, რომ გუშინ მავანი თელაველი მამა გვწერდა, ჩვენების მოგების შემთხვევაში ბავშვს ველოსიპედს შევპირდი, არადა, ფული არ მაქვსო. ჰოდა, ლოგიკურია, რომ თუ საქართველოს ნაკრები ფრეს ითამაშებს, ბავშვს ველოსიპედის მაგიერ „სამაკატკად" წოდებული თვითგორია მაინც ერგება.

და ერთი წერილიც, რომელიც BAGRATIONI 888-მ გამოგვიგზავნა. თუ არ ვცდები, მისგან ევროპის ჩემპიონატის დროსაც მივიღეთ წერილი:

— სიმართლე გითხრათ, არ მჯერა საქართველოს მოგება თურქეთთან და მაინცდამაინც არც ჯგუფიდან გასვლაზე იტყოდა რაიმე დამაიმედებელს კაცი. ან კიდევ, როგორ უნდა დაგცდეს სიტყვა იმაზე, რომ ჩვენი ნაკრები ჯგუფში სრულფასოვნად გამოვა და არ შერცხვება ისეთი დონის გუნდებთან, როგორიც საბერძნეთი, თურქეთი ან სულაც დანიაა. ყველაფერს თავი დავანებოთ და ჩვენი ნაკრების თითოეულ წევრზე ვიმსჯელოთ. რა თქმა უნდა, საფეხბურთო თვალსაზრისით განვიხილოთ მათი სათამაშო ფორმა და ამჟამინდელი სანაკრებო დონე. მე ვფიქრობ, რომ ისეთ ფეხბურთელებს, რომლებიც არ არიან მოცემული მატჩისთვის მზად, ნაკრებში არ უნდა იძახებდნენ. ნუთუ ვერავინ ხედავს, რომ ნახევარი გუნდი სარეზერვო გუნდებიდანაა გამოძახებული, რა თქმა უნდა, გამონაკლისების გარდა და საქმეც მაგაშია, ამ გამონაკლისმა ფეხბურთელებმა როდემდე უნდა იჭიდავონ (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) თავისზე ერთი თავით მაღლა მდგომ გუნდებთან.

აი, ასე. თქვენ კი არ დაიზაროთ და მოიწერეთ.

WEB ოსტატი ბუარა

geo_geo_fan@hotmail.com

საყრდენის დასაყრდენი

ლევან ცქიტიშვილი რწმენით და იმედით

საქართველოს ეროვნული ნაკრები ორი დღეა, თურქეთშია და ამ ქვეყნის ნაკრებთან უმძიმესი მატჩისთვის ემზადება. ახალი შესარჩევი ციკლის დაწყებას ახალი იმედებიც ახლავს — ეგებ ამჯერზე მაინც... 4 სექტემბრის ტრაპიზონული მატჩი ბევრ კითხვას გასცემს პასუხს, თუმცა ისიც კარგად გვენიშნა, რომ გამგზავრებამდე ფეხბურთელები შეფასებებში საკმაოდ თავშეკავებულები იყვნენ, საქმეს უფრო პროფესიულად უდგებოდნენ. ამის ერთ-ერთი მაგალითი ლევან ცქიტიშვილი გახლავთ, ვინც უკვე ექვსი წელია, უცხოეთში თამაშობს. ბუნდესლიგაში გატარებულმა წლებმა კი მას ბევრი შესძინა და ასწავლა. ლევანს თურქეთში გამგზავრებამდე გამოველაპარაკეთ

— „ფრაიბურგისთვის“ სეზონი ურიგოდ არ დაიწყო, გერმანიის თასზეც წინ მიიწევთ...

— კარგ სტარტს ხელი ნაყოფიერმა შეკრებამ შეუწყო. გუნდი მართლაც კარგადაა მომზადებული. იღბლიანი სტარტი ბუნდესლიგაში ბევრს ნიშნავს, ეს მერე და მერე საქმესაც გიადვილებს. ვნახოთ, წინ დიდი მარათონია. ბუნებრივია, იქნება წაგებებიც და მოგებებიც, თუმცა ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ.

— „ფრაიბურგმა“ რამდენიმე ფეხბურთელი გაყიდა, სანაცვლოდ კი მინიმალური შევსება მიიღო. სათადარიგო სკამი ხომ არ დაგიმოკლდათ?

— სათადარიგო სკამი დიდი არც არასოდეს გვქონია, შემცვლელებში „ფრაიბურგს“ ყოველთვის უჭირდა. ერთი ეგაა, რომ ახლა სკამზეც ისეთი ფეხბურთელები სხედან, რომელთაც ბუნდესლიგაში უთამაშიათ. ესეც ბევრს ნიშნავს.

— ისე ჩანს, რომ სეზონის მთელი სიმძიმე ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელზე გადავა, მათ შორის შენზე და იაშვილზე...

— თუ ჯანმრთელობამ შეგვიწყო ხელი, მზად ვართ, სეზონი სრული დატვირთვით ვითამაშოთ.

— ნაკრებისთვის ახალი ეტაპი იწყება, თანაც ურთულეს მეტოქესთან, თურქეთთან თამაშით...

— დაწყება ნებისმიერ მეტოქესთან ძნელია, მით უმეტეს, თურქეთთან. თუმცა თურქებს პრობლემებიც საკმარისი აქვთ და მათ რომ ისეთი ნაკრები აღარ ჰყავთ, როგორიც 2002 წელს იყო, ესეც ფაქტია. ეჭვი არ მეპარება, რომ ძალიან ძნელი თამაში იქნება. თუმცა მაქსიმალური მონდომებით შეგვიძლია ქართველი გულშემატკივრის გახარება. ვნახოთ, როგორ წავა თამაში, წინასწარ რამის თქმა ძნელია.

— თურქეთის ნაკრები დიდ იმედებს ამყარებს ალტინტოპზე, რომელიც ბუნდესლიგაში თამაშობს და მის წინააღმდეგ ბევრჯერ გითამაშია. რისი თქმა შეგიძლია ამ ფეხბურთელზე?

— ალტინტოპზე ალბათ კობიაშვილი უფრო მეტს გეტყოდათ. მისი გუნდელია და უკეთ იცნობს. ისე, მართლაც კარგი ფეხბურთელია, სწრაფი, ორივე ფეხით ძლიერად ურტყამს. ის ფაქტი, რომ „შალკეს“ წამყვანი ფიგურაა, ძალიან ბევრს ნიშნავს.

— მეორე სეზონია, „ფრაიბურგში“ საყრდენის პოზიციაზე თამაშობ. ნაკრებში ეს პოზიცია პრობლემატურია, თურქეთთან ერთ საყრდენად შენ ხომ არ ითამაშებ?

— არ ვიცი, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია, რასაც დამავალებს, იმას გავაკეთებ. „ფრაიბურგში“, ფაქტობრივად, სამი საყრდენით ვთამაშობთ. მე უფრო მეტი თავისუფლება მაქვს, ჩემს გვერდით ეგრეთ წოდებული მუშა საყრდენები არიან.

— საპატრიარქოში შეხვედრისას გეტყობოდა, რომ რელიგიურ რიტუალებს კარგად იცნობ.

— მას შემდეგ, რაც ფრაიბურგში ქართველები მოვმრავლდით, მოვახერხეთ, პატარა ადგილი გამოეყოთ, რათა მართლმადიდებლური ღვთისმსახურება ჩატარებულიყო. გარდა ამისა, იქ შინ მაქვს ჩემი წმინდა კუთხეც, სადაც ხშირად ვლოცულობ, რწმენის გარეშე ძნელია ცხოვრება. ძალიან კარგი შეხვედრა იყო საპატრიარქოში, სასიამოვნო, სულიერად დამუხტულები მივემგზავრებით.

— ბუნებრივია, გულში მხოლოდ წარმატებაზე ფიქრობ...

— სხვანაირად წასვლას რა აზრი ექნება?! ევროპაში თამაშმა პირველ რიგში ეს შემძინა — მინდორზე მოსაგებად გავდივარ და სხვაზე არაფერზე ვფიქრობ.

დავით ერაძე

სად იყო აქამდე ცხადაძე?!

ისრაელის ნაკრებთან მატჩში ოქტიუტი ჰქონდა რუსეთის ჩემპიონატის პირველლიგელ ალანია ძლიერ ცხადაძეს. ის ეროვნული ნაკრების პირველ კაპიტან კახა ცხადაძესთან ერთად მახაჩყალის „ანჟიში“ თამაშობს და ძირითადის უცვლელი წევრიცაა. მოლდოვასთან მატჩის შემდეგ ალენ ჟირესმა მჟავანაძის მებრძოლი ხასიათი გამოარჩია და თქვა, რომ არჩევანში არ შემცდარა. კახა ძალიან მოწადინებულია ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად

— „ანჟი“ რუსეთის პირველ ლიგაში თამაშობს და ნაკრებში გამოძახება შენთვის ალბათ მოულოდნელი იქნებოდა...

— სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ ჩემი არსებობა საქართველოში ყველამ დაივიწყა. პირველად მოწვევა რომ მივიღე, თვალებს არ ვუჯერებდი. დიდი მადლობა ჟირესს ამხელა ნდობისთვის. რაც შეეხება რუსეთის პირველ ლიგას, ის არც ისე ხელწამოსაკრავია, როგორც ბევრს ჰგონია. საკმაოდ მაღალი ტემპია და ტური არ ჩაივლის, დიდი ჯახი არ იყოს.

— პირველ ლიგამდე რუსულ პრემიერლიგაშიც თამაშობდი...

— მაშინ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, იმდენად სწრაფად, რომ ვერც კი გავითავისე, რამხელა პერსპექტივა მქონდა. შანსი ვერ გამოვიყენე და დავისაჯე კიდეც. თუმც ეგეცაა, რომ მოსკოვის „სპარტაკში“ შანსის გამოყენების საშუალება დიდად არც მოუციათ. ჩემს კლუბს ვეძებდი, იმას, სადაც მენდობოდნენ. ასეთი კი „ანჟი“ აღმოჩნდა. იქ ყოველგვარი ფსიქოლოგიური ტვირთი მომეხსნა და ავთამაშდი.

— ალბათ ცხადაძის გვერდით ყოფნაც დაგეხმარა...

— ცხადაძე გუნდში ავტორიტეტია. მეც უამრავი სასარგებლო რჩევა მივიღე მისგან და, მგონი, ახლა შედეგებსაც ვიმკი. ნეტავ, ადრე ყოფილიყო ჩემს გვერდით...

— სეზონის დასაწყისში „ანჟი“ უმაღლეს ლიგაში გადასვლას გეგმავდა, მაგრამ...

— გუნდში თაობათა ცვლა საკმაოდ სპონტანურად დაიწყო. მხოლოდ ცხადაძის პროფესიონალიზმი არ დაუყენებია არავის ეჭვქვეშ. კარდინალურ ცვლილებებს კი შედეგები ყოველთვის არ მოაქვს.

— რუსეთის ჩემპიონატის პირველ ლიგაში ბევრი ქართველი თამაშობს, რომელს გამოარჩევდი?

— ერთ-ერთი საუკეთესო „ბალტიკაში“ მოთამაშე რომან ახალკაცია. რახან ეს გუნდი ვახსენე, ზაზა ჯანაშიაზეც უნდა ვთქვა. ხალხი სტადიონზე მისი თამაშის საანახავად დადის. ძალიან კარგია სოკოლელი გიზო ჯელაძე. ვალერი აბრამიძე სულ ახლახან გადავიდა „ხიმკიში“, მაგრამ გუნდის ლიდერი გახდა. რეზო გოცირიძე რუსეთში გავიცანი. ეტყობა, ნიჭიერი ბიჭია. „კამაზში“ მასზე დიდ იმედს ამყარებენ.

— მოლდოვასთან მატჩის მერე ჟირესის ქება დაიმსახურე. როგორ ფიქრობ, თურქეთთანაც ითამაშებ?

— ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. ერთში კი დარწმუნებული ვარ, თავს არც თურქეთთან დავზოგავ. სხვანაირად თამაში არ ვიცი.

— „ანჟიში“ ალბათ ამაყობენ, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი რომ ჰყავთ...

— მთელმა გუნდმა გამომაცილა, აბა, თქვენ იცით, თურქებს მოუგეთო. მახაჩყალაში ქართველებს და ქართულ ფეხბურთს დიდ პატივს სცემენ.

— როგორ გგონია, გვაქვს მოგების შანსი?

— რატომაც არა?! აგერ, გროზნოს „ტერეკმა“ რუსეთის თასი მოიგო და უეფას თასზე ორი ეტაპიც დაძლია. როგორ დავიჯერო, ამაზე მეტი სასწაული იქნება ჩვენი ნაკრების თურქეთში გამარჯვება... მთავარია, ყველამ მოვინდომოთ და შიშის გრძნობის გარეშე გავიდეთ სათამაშოდ. თურქებზე ნაკლები ფეხბურთელები არც ჩვენ გვყავს და ვნახოთ...

დავით ერაძე

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

ფული და სული ათენში ქარვასლაა

დღეს ტირანაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მატჩია მთელი რიგი გარემოებების გამო.

ჯერ ერთი, ევროპის ჩემპიონი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ პირველ ოფიციალურ მატჩს თამაშობს; მეორე ის, რომ ბერძნებს ალბანეთში არასოდეს მოუგიათ და ჰანს-პეტერ ბრიგელის გაწვრთნილი ალბანეთის ნაკრები 2002 წლის აქეთ სახლში არ დამარცხებულა.

მაგრამ მთელი რიგი გარემოებები აქ როდი მთავრდება. საბერძნეთის ნაკრების ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონატის მოგებისთვის ქვეყნის ხელისუფლებისგან ითხოვენ, თითოეულს ერთი მილიონი ევრო გვიბოძეთო. საბერძნეთის მთავრობამ კი მათ შეუთვალა, მთლიანად გუნდზე 4 მილიონზე მეტს ვერ გამოვალთ, რაც თითოეული ფეხბურთელისთვის 173 ათასი ევრო იქნებაო. საბერძნეთის მთავრობა პოზიციას იმითაც იმაგრებს, რომ ბერძენი სპორტსმენებისთვის იგივე თანხას გამოდიოდა ოლიმპიური ოქროს მედლისთვის. რაც შეეხება საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას, მისი ფულადი ჯილდო ასეთია — 700 ათასი ევრო თითოეულ ფეხბურთელს. თუმც საქმე ისაა, რომ ეს თანხა ფეხბურთელებს ჯერ არ მიუღიათ. მოკლედ, ოტო რეჰაგელის გუნდში მერკანტილური სული დატრიალდა. რეჰაგელმა კი თქვა, მწვრთნელმა მხოლოდ სპორტულ ასპექტებზე უნდა ილაპარაკოსო და ხელები დაიბანა.

ამასობაში ალბანეთის პრემიერ-მინისტრმა ფატოს ნანომ მოიქაჩლა თავი — თუ დღეს ევროპის ჩემპიონებს მოუგებთ, გუნდზე 500 000 დოლარს გამოვალთო.

დავით თავართქილაძე



ოტო რეჰაგელი ფულის საქმეში არ გაერია

ალბანეთი — საბერძნეთი

სავარაუდო შემადგენლობები

ალბანეთი: სტრაკოშა, ბექირი, ალიაი, დურო, შკელა, ლალა, მორატი, დრაგუშა, ჰასი, კანა, ტარე

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, დელასი, სეიტარიდისი, ვენეტიდისი, კაცურანისი, ზაგორაკისი, დაბიზასი, იანაკოპულოსი, ვრიზასი, კარაგუნისი, ხარისტიასი

აგვისტოს პასიანსი: ტოპდინამო

თბილისის „დინამოს“ სააგვისტო გმირობა დაუფასდა და მსოფლიოს 350 საუკეთესო კლუბს შორის მოხვდა — ასეთია ფეხბურთის სტატისტიკისა და ისტორიის საერთაშორისო ფედერაციის (IFFSH) დასკვნა. 2003 წლის 1 სექტემბრიდან 2004 წლის 30 აგვისტომდე ჩატარებული გამოთვლებით თბილისის „დინამო“ 277-ე ადგილზეა, რაც ივლისის მაჩვენებელს 201 (!) საფეხურით სჯობს — წინა თვეში დინამოელები 478-ეზე იყვნენ.

უეფას თასზე ბელარუსული ბატესა და ჩეხური „სლავიას“ ძლევამ თბილისელებს მსოფლიოს საკლუბო მარაქაში დაუდო ბინა და იმედი გვაქვს, წინსვლა კიდევ გაგრძელდება.

სხვათა შორის, „დინამოს“ მიერ დაჩაგრული „სლავია“ აგვისტოში 39 საფეხურით დაქვეითდა და ახლა მე-100 ადგილზეა. ჩვენი მომავალი მეტოქე პოლონური „ვისლა“ კი 115-ე საფეხურით იწონებს თავს.

საინტერესოა ისიც, რომ „დინამო“ ერთადერთი კლუბია ჩამოთვლილ 350-ს შორის, რომელიც ყველაზე დაბალკოეფიციენტიან ჩემპიონატში თამაშობს — ფეხბურთის სტატისტიკისა და ისტორიის საერთაშორისო ფედერაციის აზრით, ჩვენი ჩემპიონატის კოეფიციენტი ოდენ 1-ის ტოლია.

ბევრი საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ, მით უმეტეს, ქვემოთ მოცემულ ცხრილში ყველაფერს იოლად გაარკვევთ. უბრალოდ, განგიმარტავთ, რომ საუკეთესო ოცეულის შემდეგ სხვადასხვა ქვეყანაში მოთამაშე ქართველების კლუბების რეიტინგსაც გთავაზობთ.

კახა შალამბერიძე

მსოფლიოს 350 საუკეთესო კლუბი

2003 წლის 1 სექტემბერი - 2004 წლის 30 აგვისტო

1	(5)	რეალი (ესპანეთი)	289,0
2	(3)	ვალენსია (ესპანეთი)	284,0
3	(7)	მანჩესტერი (ინგლისი)	277,0
4	(2)	სან პაულუ (ბრაზილია)	270,0
5	(14)	მონაკო (საფრანგეთი)	255,0
6	(9)	არსენალი (ინგლისი)	252,0
7	(6)	პორტუ (პორტუგალია)	250,0
8	(12)	რივერ პლეიტი (არგენტინა)	248,0
9	(10)	ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)	246,0
	(15)	იუვენტუსი (იტალია)	246,0
11	(4)	მილანი (იტალია)	244,0
12	(10)	სანტოსი (ბრაზილია)	238,0
13	(8)	ჩელსი (ინგლისი)	230,0
	(1)	სელტიკი (შოტლანდია)	230,0
15	(16)	დეპორტივო (ესპანეთი)	221,0
	(13)	ნიუკასლი (ინგლისი)	221,0
17	(17)	ბრიუგე (ბელგია)	210,0
18	(21)	ბარსელონა (ესპანეთი)	208,0
19	(31)	ინტერი (იტალია)	204,0
20	(28)	პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)	202,5
54	(70)	შალკე (გერმანია)	133,0
63	(54)	ლოკომოტივი (რუსეთი)	126,5
75	(60)	რეინჯერსი (შოტლანდია)	122,5
86	(77)	დინამო (კიევი, უკრაინა)	116,5
105	(104)	ცსკა (სოფია, ბულგარეთი)	105,5
164	(160)	სეპაჰანი (ირანი)	88,5
194	(359)	ვენტსპილსი (ლატვია)	82,0
236	(461)	მ. დონეცკი (უკრაინა)	75,5
248	(307)	სკონტო (ლატვია)	73,0
277	(478)	**დინამო (საქართველო)**	68,5
340	(329)	არისი (საბერძნეთი)	61,0
347	(370)	ფრაიბურგი (გერმანია)	60,0

დავით უიფიანის თასი

მეთექვსმეტეფინალი. საპასუხო ჭატჩები

გოლი ხუთი იყო, მთავარი ერთი: გოგოა, გოგო!

თბილისი. 3 სექტემბერი. ფკ ამერის სკოლა. 250 მაყურებელი

ამერი 4:1 ჩიხურა

1:0, 2:0 დეკანოსიძე (20პ, 34), 3:0 სევასტოპულო (39), 3:1 გოდერძიშვილი (68), 4:1 კაიდარაშვილი (72)

დავითნიძემ ვერ გაიტანა პენალტი (ძელი, 71)

ამერი: ნაჭყებია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი (გვაძაბია 74), ელბაქიძე, სილაგავა, კაიდარაშვილი (ბუალავა 77), დეკანოსიძე, მჭედლიშვილი, დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 73), სევასტოპულო

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

ჩიხურა: გუგუნავა (მეგრელიშვილი 46), ო. ჭიღლაძე, გუჯაბიძე, თურმანიძე, გოგიტაძე (ჭოლოშვილი 46), ილურიძე, ლომინაშვილი, ჩომახიძე, სამხარაძე (სტეფანიშვილი 46), გოდერძიშვილი

მწვრთნელი: სპარტაკ არჩვაძე

მსაჯები: ა. ორდინიძე; ი. აფციაური, დ. ხარიტონაშვილი; შ. ქუხილავა

დავით თავართქილაძე

ვინც გლდანში მივიდა, ხუთი გოლი კი ნახა, მაგრამ თამაშს დიდად შინაარსიანი და დაძაბული არ ეთქმოდა. ამერელებს პირველი მატჩი მოგებული ჰქონდათ და მეტოქეზე უფრო ფრთხილი თამაში მართებდათ. საჩხერის „ჩიხურა“ კი ძალიან რთული ამოცანის წინაშე იდგა — გასვლაზე უნდა შემოეტრიალებინა შინ წაგებული მატჩი.

„ჩიხურაში“ ისეთი ფეხბურთელები თამაშობენ, გამოცდილებით „ამერს“ და უმაღლესი ლიგის ბევრ გუნდსაც წამოეჭიმებიან. „ჩიხურას“ ორ ფეხბურთელს, გოჩა გუჯაბიძესა და გია ჩხაიძეს ეროვნულ ნაკრებში უთამაშიათ.

საჩხერელებმა გლდანში აქტიურად დაიწყეს თამაში, მეტოქეს მისსავე ნახევარზე არ ანებებდნენ ბურთის გორებას, თუმც საგოლე მომენტების შესაქმნელად თითქოს ძალა არ ჰყოფნიდათ. ამასობაში ამერელმა ალექსანდრე კაიდარაშვილმა გაიბრწყინა — მეტოქეს ბურთი აართვა და კარგად გაუჭრა პასი დავით სევასტოპულოს, „ჩიხურას“ მეკარე კუტე გუგუნავა უხეიროდ გამოვიდა კარიდან, სევასტოპულო წააქცია და გიორგი დეკანოსიძემ პენალტი უნაკლოდ შეასრულა.

მეორე გოლი დეკანოსიძემ კუთხურიდან ჩაახვია, ხოლო სევასტოპულოს საგოლე პასი სულიკო დავითაშვილმა მისცა. პირველ ტაიმში „ამერს“ კიდევ ორჯერ შეეძლო საჩხერელთა დავრდომა — სევასტოპულომ თავური ააცილა კარს, ხოლო კაიდარაშვილმა ხარიხას შეაწყვიტა ბურთი.

შესვენების შემდეგი პირველი ოცი წუთი უინტერესო გამოდგა — „ამერი“ თითქოს მოეშვა, „ჩიხურას“ კი თავს ზემო ძალა აღარ ჰქონდა, მაგრამ ერთ გოლს მაინც გამორჩა — ჩხაიძის პასით დავით გოდერძიშვილი რევაზ ნაჭყებიასთან პირისპირ დარჩა და ოსტატურად გადაგზავნა ბურთი შორეულ კუთხეში.

... „ამერს“ მეორე თერთმეტმეტრიანი დავითაშვილმა მოუნაგრა, პენალტის შესრულება კი გუნდის კაპიტანმა გიორგი დავითნიძემ იკისრა, მაგრამ არ გაუმართლა — ოდენ ძელსგარტყმულ ბურთს დასჯერდა. თუმც, აქედან ერთი წუთიც არ იყო გასული და კაიდარაშვილმა სტუმართა კარის შორეულ კუთხეში ააფართხალა ბურთი — ასეთმა წერტილმა კაიდარაშვილი მატჩის უდავოდ ყველაზე საარგებლო ფეხბურთელად შერაცხა, მაგრამ ყველაზე ბედნიერ ფეხბურთელზე თუ მიდგა საქმე... მატჩის მსვლელობისას „ამერის“ მცველს ამირან კედელაშვილს პირველი შვილი შეეძინა, რაც მან მხოლოდ ნამატჩევს შეიტყო.

დავით სევასტოპულომ (მარცხნივ) „ჩიხურას“ საჩხერეშიც გაუტანა და გლდანშიც

ბადრი ჯეიოლაძის ფოტოები

ამირან კედელაშვილი „ჩიხურასთან“ შვილის მომლოდინე თამაშობდა და მატჩის მერე მილოცვებიც მიიღო

გურია ლანჩხუთი (I)	5:5	*ტორპედო ქუთაისი* (0:6)
ეგრისი სენაკი (II)	0:2	*კოლხეთი ფოთი* (0:5)
ხობი (II)	1:1	*ბათუმი* (0:4)
მაღაროელი ჭიათურა (I)	2:4	*ზესტაფონი* (2:3)
ივერია ხაშური (I)	0:0	*ლოკომოტივი თბილისი* (0:3)
ბორჯომი (I)	0:1	*სიონი ბოლნისი* (2:2)
ჭაბუკიანი (II)	1:0	**რუსთავი** (I) (1:2)
ცხუმი სოხუმი (II)	0:0	*სპარტაკი თბილისი* (I) (1:3)
მუხრანი (II)	1:1	*ცხინვალი* (I) (0:2)
კახეთი თელავი (I)	2:1	*მერანი თბილისი* (I) (0:2)
საგარეჯო (I)	0:2	*პრემა თბილისი* (II) (0:1)

სარბიელელები ვულოცავთ ამირან კედელაშვილს ქალიშვილის, მარიამის დაბადებას!

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

IV ჯგუფი
საფრანგეთი - ისრაელი

ისმენს და იმორჩილებს

ანრიმ წასვლა გადაიფიქრა

დღეს, პარიზში, საფრანგეთის ნაკრები ისრაელთან ითამაშებს და შეეცდება შეუდგეს გზას, რომელიც ევრო 2004-ის წარუმატებლობას დაავიწყებს. არადა, „ლურჯებს", ფაქტობრივად, ყველაფერი თავიდან აქვთ დასაწყები, ვინაიდან დიდი გუნდის გამოჩენილი ვარსკვლავები, ზინედინ ზიდანი, ლილიან ტურამი, ბიქსენტ ლიზარაზუ და მარსელ დესაი სანაკრებო ფეხბურთიდან წავიდნენ



რაიმონდ დომენეკი

ტიერი ანრი

ევრო 2004-ზე, ბერძნებთან დამარცხების შემდეგ ფრანგებმა ერთი ამხანაგური მატჩი ითამაშებს ბოსნიასთან და უნაპერწკლო 1:1 მოახერხეს.

„ახალი თაობა მოდის და მას ახალი გუნდი სჭირდება — განაცხადა „არსენალის" თავდამსხმელმა ტიერი ანრიმ — ჩვენ გამარჯვებები გვჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მუშაობა ძალიან გაძნელდება. არ ვიცი, რა მოხდა 1996 წელს, ვინაიდან მე იქ არ ვიყავი, მაგრამ ვიცი, რომ კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებას გარკვეული დრო სჭირდება".

შემდეგ ანრი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ ერთი პირობა ნაკრებიდან წასვლაზე თავადაც ფიქრობდა.

„საბედნიეროდ, ეს ფიქრი დიდხანს არ გამყოლია. მივხვდი, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელების წინაშე პასუხისმგებლობა მეკისრებოდა. ვალდებული ვარ, გუნდს ჩემი გამოცდილება შევმატო და ბიჭებს ხელი შევუწყო. საფრანგეთის ნაკრები გამარჯვებებს უნდა დაუბრუნდეს და ეს რაც მალე მოხდება, მით უკეთესია" — დასძინა ანრიმ.

აქ, ცოტა ხნით გავიხსენოთ, რა ხდებოდა 1996 წელს, რომელიც თავდამსხმელმა ზემოთ ახსენა. უფრო სწორად, ყველაფერი 1993 წლიდან დაიწყო, როდესაც ჟერარ ულიეს ხელმძღვანელობით „ლურჯები" მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდნენ და გუნდს ახალი მწვრთნელი, ემე ჟაკე ჩაუდგა სათავეში. ჟაკემ საფრანგეთის ნაკრების რეკორდი დაამყარა — 30 წაუგებელი შეხვედრა, ხოლო 1998 წელს გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახადა.

დღეს ფრანგები იმედოვნებენ, რომ ჟაკეს მსგავსად „ლურჯების" ახალ მწვრთნელს, რაიმონდ დომენეკს ძლიერი ნებისყოფა აქვს — როდესაც ეუბნებიან, ისმენს, ხოლო როდესაც განკარგავს, იმორჩილებს. დომენეკმა გუნდს ახალი წესები ჩამოუწერა: მასაჟის დროს მობილურით ლაპარაკი აიკრძალა, საუზმესა და ვარჯიშზე დაგვიანება ხომ უბრალოდ გამორიცხულია.

დომენეკის საყვარელი განლაგებაა 3-5-2. მას მისი წინამორბედის, ჟაკ სანტინის დროინდელი 4-4-2 ძველმოდურად მიაჩნია. მისი მოთხოვნაა ერთიანი საბრძოლო სულისკვეთება, ხოლო ისრაელის ნაკრებს ნამდვილად არ უთამამდება. ევრო 2004-ის შესარჩევში ფრანგებმა პალერმოში ისრაელს დიდი წვალებით მოუგეს 2:1, ხოლო 1993-ში, პარიზში 1:2 წააგეს.

„არასოდეს იცი, რას მოგიწყობს ისრაელის ნაკრები" — თქვა მწვრთნელმა.

პაპუნა კედია

სავარაუდო შემადგენლობა

საფრანგეთი: ჯუპე, გალასი, სჯილაჩი, აბიდალი, მენდი, ვიეირა, პედრეტი, როტენი, ჟიული, ანრი, სისე

მარჩელო ლიპი თავდასხმაში ფაბრიციო მიკოლის და ალბერტო ჯილარდინოს ათამაშებს

ლიპის არჩევანი

აპურა აპურინის ემსგავსება

„ჩვენმა ნაკრებმა მარჩელო ლიპის ხელმძღვანელობით შეიძლება ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწიოს" — ამბობს სახელოვანი იტალიელი მცველი ალესანდრო ნესტა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წინ:

„მწვრთნელი ენთუზიაზმით არის სავსე და აშკარად აქვს მთელი გუნდის ამ ენთუზიაზმით დამუხტვის უნარი. ამავდროულად, წარმატებები ფეხბურთელებსაც გვწყურია. ასე და ამგვარად, ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანა, წამყვანი ფეხბურთელების დახმარებით ბრძოლისუნარიანი ჯგუფის ჩამოყალიბებაა".

არადა, მოგეხსენებათ, ლიპის ხელმძღვანელობით „სკუადრა აძურამ" საკმაოდ ცუდად და უსახელოდ დაიწყო — ისლანდიასთან ამხანაგურ შეხვედრაში 0:2 წააგო.

ნესტა განაგრძობს: „პორტუგალიაში, ევროპის ჩემპიონატზე, ფავორიტები კი ვიყავით, შემადგენლობაც ძლიერი გვყავდა, მაგრამ საუკეთესო ფორმაში არ გახლდით. ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი დასკვნას ითხოვდა, დასკვნა კი ის არის, რომ გუნდი ადამიანების ჯგუფი კი არა, გუნდი უნდა იყოს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თუ ჩვენ რეგულარულად გამარჯვებას ვისწავლით, ყველაფერი ძალიან გამარტივდება. გამარჯვებები გულშემატკივართა კეთილგანწყობასაც დაგვიბრუნებს".

შემდეგ ნესტას იმ ახალგაზრდებზე ჰკითხეს, რომლებიც ლიპიმ ნაკრებში გამოიძახა. მილანელმა მიუგო: „ეს ახალგაზრდებიც მოწადინებულები გახლავან. ძალიან კარგია, რომ ნაკრებს რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც დაუბრუნდა".

შეგახსენებთ, რომ ნესტას ორიოდ დღის წინ კუნთი ეტკინა და ვარჯიშის გამოტოვება მოუხდა, მაგრამ დღეს ნორვეგიელების წინააღმდეგ რომ ითამაშებს, ეჭვი არავის ეპარება.

ალბათ, ამ შეხვედრაში ითამაშებს ალესანდრო დელ პიეროც. იგი ნესტასგან განსხვავებით ერთი დღე კი არა, თითქმის მთელი კვირის განმავლობაში უვლიდა გამიზეზებულ ფეხს, მაგრამ ხუთშაბათს მან უკვე ივარჯიშა და შემდეგ ითამაშა კიდეც.

სხვა საქმეა, რომ მარჩელო ლიპიმ დელ პიერო შეიძლება მოგვიანებით ჩართოს თამაშში, სასტარტო შემადგენლობაში კი ფაბრიციო მიკოლის დაუთმოს ადგილი.

ხოლო ის ადამიანი, ვინც უეჭველად ითამაშებს პალერმოს მინდორზე, იქნება „პარმას" თავდამსხმელი, 21-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონი და ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ალბერტო ჯილარდინო. როგორც ამბობენ, ყველაზე კარგი ის არის, რომ ჯილარდინომ თვით ახალი თანაგუნდელები, „სკუადრა აძურას" მოთამაშეები დაარწმუნა, რომ მისი ადგილი ძირითად შემადგენლობაშია.

მცველი მატეო ფერარი: „ეჭვს აღარ იწვევს, რომ ჯილარდინოს მხოლოდ თვითონ კი არ ეხერხება გოლების გატანა, არამედ სხვებსაც უქმნის საგოლე მომენტებს. თუ მას ნორვეგიელებთან ძირითად შემადგენლობაში თამაშს ანდობენ, ეჭვი არ მეპარება, რომ საკუთარი გადაწყვეტილებით კმაყოფილები დარჩებიან".

ნესტა: „მე ვხედავ, რომ ჯილარდინო ამქვეყნად გოლების გატანისთვის არის დაბადებული".

სტეფანო ფიორე: „ჯილარდინო ის ფეხბურთელია, რომელიც ჩვენთვის დიდად სასარგებლო იქნება, როგორც ამ შეხვედრაში, ისევე მომავალში. იგი ის თავდამსხმელია, რომელიც იმსახურებს დიდ ყურადღებას და ქებას".

სხვათა შორის, სულაც არ არის გამორიცხული, ჯილარდინოს მხარდამხარ ნორვეგიელების წინააღმდეგ მასთან ერთად 21-წლამდელთა ნაკრებიდან წამოყვანილმა კიდევ ორმა ფეხბურთელმა, დანიელე დე როსიმ და დანიელე ბონერმაც ითამაშოს.

პაპუნა კედია

სავარაუდო შემადგენლობები

იტალია: ბუფონი, ბონერა, მატერაცი, ნესტა, ფავალი, ფიორე, გატუზო, დე როსი, ძამბროტა, მიაოლი, ჯილარდინო

ნორვეგია: ე. იონსენი, ბასმა, რიზეტი, ლუნდეკვამი, რიისე, სორენსენი, ფ. იონსენი, ანდრესენი, ჰოსე, რუდი, ჯარეუ

V ჯგუფი
იტალია - ნორვეგია

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

VI ჯგუფი

ავსტრია - ინგლისი

ინგლისი ვენაში



სვენ გორან ერიკსონის საფიქრალი სტივენ ჯერარდია

ინგლისის ნაკრები ორი, ერთმანეთს მიყოლებული გასვლითი მატჩით იწყებს შესარჩევ ტურნირს: ამ უქმეებზე ავსტრიაში და სამი დღის თავზე პოლონეთში.

ოღონდაც, ინგლისელებს მძიმე დრო უდგათ, რადგან სვენ გორან ერიკსონმა მთლად ისეთი შემადგენლობა ვერ მოაგროვა, როგორიც უნდოდა.

ადრიდანვე ცნობილი იყო, რომ უეინ რუნი სასექტემბროდ ვერ მომჯობინდებოდა, მას ჯერ ვარჯიშიც არ დაუწყია, ავბედად დაშავდა „მანჩესტერ სიტის“ შონ რაიტ-ფილიპსიც, ვისაც ბრწყინვალე, გოლიანი დებიუტი ჰქონდა უკრაინასთან ამხანაგურ მატჩში. სანამ რუნი პირველ „ოლდ ტრეფორდულ“ დღეებს ირგებს, მაიკლ ოუენის მეწყვილე მისი თანაგუნდელი ალან სმიტი იქნება, რომელმაც საუცხოოდ დაიწყო სეზონი „მანჩესტერ იუნაიტედში“.

პრობლემები ნახევარდაცვაშიც ბევრია: პოლ სქოულზი, ერიკსონის ჯილა ფლეიმეიქერი, ნაკრებს გამოეთხოვა. ნიკი ბათი კი დაბრუნდა ნაკრებში, მაგრამ დახეთ, ვერაგობას: სტივენ ჯერარდმა სწორედ სანაკრებო ვარჯიშზე დაიზიანა საზარდული და „ერნსტ ჰაპელის“ სტადიონზე ვერაფრით გავა, საპოლონეთოდ კი ეგებ მზად იყოს. დევიდ ბექემი და ფრენკ ლამპარდი მზად არიან, მარცხენა ფრთას კი ჯო კოული დაიჭერს.

ავსტრიაში არც გაფრენილან მცველები: სოლ კემპბელი, ჯონათან ვუდგეიტი და ჯერაც დისკვალიფიცირებული რიო ფერდინანდი. დაცვის შუაგული ჯონ ტერიმ და ყრმა ლედლი კინგმა უნდა დაიჭირონ, აქეთ-იქით კი ძველებურად გარი ნევილი და ეშლი კოული იდგებიან. მიუხედავად ნაკლისა, ერიკსონი იმედოვნებს, რომ მისი დაცვა ავსტრიელებს გაუძლებს, თუნდაც იმიტომ, რომ ავსტრიელებს მთავარი ნახევარმცველები, მარკუს შოპი და მარტინ ამერჰაუსერი არ ეყოლებათ.

ქაღალზე ინგლისი მაინც ძლიერია, ვიდრე ავსტრია თავისი ერთი კინკილა მეგოლით, ედუარდ გლიდერით, მაგრამ ულაპარაკო სამ ქულაზე ლაპარაკი ძნელია.

ირაკლი გამყრელიძე

საჯარაუდო შემადგენლობები

ავსტრია: მანდლი, შტანდფესტი, შტრანცლი, ჰიდენი, ჰოგატეი, სიჯი, ჯუჰბაუერი, აუფჰაუზერი, ივანჩიჩი, გლიდერი, ჯულმანი

ინგლისი: ჯეიმსი, გ. ნევილი, ტერი, ჯინგი, ეშლი ჯოული, ბექემი, ლამპარდი, ჯერარდი, ჯო ჯოული, სმიტი, ოუენი

ბილანმა ბრაზილია გააბრაზა

ბრაზილიის ნაკრებმა და „მილანმა“ კაკა ვერ გაიყვეს

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რიკარდო ტეიშეირა „მილანს“ სამი ფეხბურთელის, კაფუს, დიდას და კაკას „დამალვაში“ სდებს ბრალს — იტალიის ჩემპიონმა ფეხბურთელები ეროვნულ გუნდში სათამაშოდ არ გაუშვა

„იტალიის ამ გუნდთან პრობლემებმა ჯერ კიდევ ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირის დროს იჩინა თავი. ამის შემდეგ იყო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი არგენტინასა და ჩილესთან, ხოლო მას მოჰყვა ფიფას ასი წლისთავისადმი მიძღვნილი შეხვედრა საფრანგეთში და მატჩი ბარსელონაში კატალონიის ნაკრებთან. ახლა იგივე ჰაიტისთან შეხვედრაში განმეორდა. ჩვენ ყველაფრის საუბრით მოგვარება ვცადეთ, რამდენჯერმე დავურეკეთ, მაგრამ მათ გულცივობა და არაკოლეგიალურობა გამოიჩინეს. მაგალითად, არგენტინასთან შეხვედრის დღეს „მილანისგან“ მივიღეთ წერილი, სადაც, მიუხედავად აგვისტოში დაიწყო, რადგან „მილანმა“ პორტო პრენსში სათამაშოდ გამოძახებული ტრიო მაშინ „დააკავა“. თამაში კარიბეთში მშვიდობის დასამყარებლად იყო მოწყობილი — იქ მშვიდობისმყოფელებად გაეროს ბრაზილიის ჯარები ჰყავს გაგზავნილი.

„იტალიის ამ გუნდთან პრობლემებმა ჯერ კიდევ ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირის დროს იჩინა თავი. ამის შემდეგ იყო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი არგენტინასა და ჩილესთან, ხოლო მას მოჰყვა ფიფას ასი წლისთავისადმი მიძღვნილი შეხვედრა საფრანგეთში და მატჩი ბარსელონაში კატალონიის ნაკრებთან. ახლა იგივე ჰაიტისთან შეხვედრაში განმეორდა. ჩვენ ყველაფრის საუბრით მოგვარება ვცადეთ, რამდენჯერმე დავურეკეთ, მაგრამ მათ გულცივობა და არაკოლეგიალურობა გამოიჩინეს. მაგალითად, არგენტინასთან შეხვედრის დღეს „მილანისგან“ მივიღეთ წერილი, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ოფიციალური გახლდათ, ფეხბურთელების გაშვებაზე უარი ეწერა“ — ბრძანა ტეიშეირამ და დასძინა:

„მოგვიანებით მოიბოდიშეს, მაგრამ მათი საქციელი მიუღებელი იყო“.

ზემოხსენებული შეხვედრა ჰაიტისთან (ბრაზილიამ მოიგო 6:0) ფიფას მიერ სანაკრებო შეხვედრებისთვის საგანგებოდ გამოყოფილ დღეს გაიმართა, მაგრამ ვინაიდან მატჩი სხვა კონტინენტზე იყო და თან ოფიციალური არ გახლდათ, „მილანი“ თურმე არ იყო ვალდებული ფეხბურთელები გაეთავისუფლებინა.

აღსანიშნავია, რომ ადრე ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია „მილანს“ ანგარიშს უწევდა და თუკი შანსს იჭერდა, ფეხბურთელებს უშვებდა.

„ამიერიდან ჩვენი ურთიერთობა მკაცრად კანონის შესაბამისად იქნება. ის დათმობა, რაც კოპა ამერიკაზე იყო, აღარ გამეორდება“.

პაპუნა კედია

კლარენს ზეედორფის მომავალი შავ-წითელია

ჰოლანდიელი კლარენს ზეედორფი თავის კარიერას ალბათ „მილანში“ დაასრულებს — მან იტალიის ჩემპიონთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. წინა კონტრაქტის შესაბამისად ზეედორფს „შავ-წითელი“ მაისურით კიდევ ერთი წელი უნდა ეთამაშა, მაგრამ ახლა მისი და კლუბის ურთიერთობა 2009 წლამდეა იურიდიულად გაფორმებული.

ზეედორფი დღეს 28 წლის არის და მილანელთა ახლანდელი მწვრთნელის, კარლო ანჩელოტის ხელში, მოგეხსენებათ, გუნდის ერთერთ ცენტრალურ ფიგურად ჩამოყალიბდა. ჰოლანდიელი „მილანში“ 2002 წელს გადავიდა, მანამდე კი სამი სეზონის განმავლობაში მილანისავე „ინტერში“ გამოდიოდა, მაგრამ ცუდად.

შეგახსენებთ, რომ დაბადებით სურინამელი ზეედორფი ჰოლანდიური, უფრო სწორად კი „აიაქსის“ სკოლის აღზრდილია. კარიერაც სწორედ „აიაქსში“ დაიწყო, 1995 წელს კი იტალიაში, კერძოდ „სამპდორიაში“ გადავიდა. „სამპდორიაში“ გატარებული ერთი წლის შემდეგ ჰოლანდიელი მადრიდს გაემართა „რეალში“ სათამაშოდ, შემდეგ კი იტალიას დაუბრუნდა.

აღსანიშნავია, რომ კლარენს ზეედორფი მსოფლიოში ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც ჩემპიონთა თასი სამი სხვადასხვა გუნდის, „აიაქსის“, „რეალის“ და „მილანის“ შემადგენლობაში აქვს მოპოვებული.

პაპუნა კედია

რეკლამა

სარგბიელ—ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

საფრაული და საფოუენი

გუტი ინგლისელს რეალში ვერ ხედავს

მაიკლ ოუენის „რეალში“ მისვლა მადრიდელ ფეხბურთელთა უმეტესობას დიდად არ მოსწონებია. ინგლისელმა პრიმერადივიზიონის პირველ ტურში „მალიორკასთან“ საკმაოდ კარგად ითამაშა, „რეალის“ გამარჯვების გოლში ლომის წილიც დაიდო, მაგრამ უკმაყოფილოთა ჩაჩუმება ვერც მოედანზე სიჩაუქით შეძლო.

„ბერნაბეუს“ მეომართაგან ოუენთან უეცარი შეამხანაგება თავდაპირველად რობერტო კარლოსმა და მიჩელ სალგადომ გაიკვირვეს. ამ პატივცემულ სენიორებს ვერაფრით გაეგოთ, თუ რატომ დასჭირდა მადრიდელთა ასევე პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს მოიერიშეებით გაჭედილ „რეალში“ ახალი თავდამსხმელის მოყვანა. გუშინ კი ხოსე მარია გაუტიერესი, იგივე გუტი კატალონიურ „ელ მუნდო დეპორტივოს“ ლივერპულელის შესახებ ესაუბრა და რობერტო კარლოსისა და სალგადოს კორექტული საყვედურები მძაფრი კრიტიკით გადაფარა. გუტიმ პირდაპირ განაცხადა, რომ ოუენი „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად კიდევ კარგა ხანს იხლაფორთებს: „მაიკლი კარგი თავდამსხმელია, მაგრამ „რეალის“ ძირითადში სათამაშოდ ბევრი რამ აკლია, ჯერ ახალ გუნდთან ადაპტაციის პერიოდი უნდა გაიაროს. გარკვეული დროის შემდეგ კი ვნახოთ, „რეალშიც“ იმ რაოდენობის გოლებს თუ შეაგდებს, რამდენიც „ლივერპულში“ გაჰქონდა“.

გუტის აზრით, მაიკლ ოუენი რაულს ჯეროვან კონკურენციას ვერ გაუწევს და ამიტომაც სათადარიგოთა სკამის ხშირი სტუმარი იქნება. „რაული მხოლოდ კაპიტანი და „რეალის“ სიმბოლო როდია. ის ფანტასტიკური მოთამაშეცაა, რომლის შეცვლაც დღეს ოუენს არ შეუძლია“ — უთხრა „ელ მუნდო დეპორტივოს“ გუტიმ.

ლადო ხომერიკი

G 14 ბეტეგა



„იუვენტუსის“ ვიცე-პრეზიდენტი, წარსულში ცნობილი იტალიელი თავდამსხმელი რობერტო ბეტეგა G14 კლუბების ახალ შეფად აირჩიეს. ასე და ამგვარად, „ბებერი ქალბატონის“ ლეგენდამ თანამდებობაზე მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი შეცვალა.

„ძალიან ბედნიერი ვარ, ასე რომ დამფასეს — განაცხადა ბეტეგამ — როგორც ყოველთვის და ყველგან, აქაც მთელი ძალითა და ღონით შევუდგები საქმეს. განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ პასუხისმგებლობა მომემატება“.

ბეტეგას დაეხმარებიან სხვა კლუბების დიდმოხელეებიც. კერძოდ, „არსენალის“ დევიდ დინი, „ბარსელონას“ ხუან ლაპორტა, „დორტმუნდის“ მიხაელ მაიერი და „პორტუს“ პინტუ და კოშტა.

შეგახსენებთ, რომ ერთიანი ევროპული ლიგის შექმნის და შიგ მხოლოდ სუპერგუნდების მონაწილეობის მოსურნე ორგანიზაცია G14 სინამდვილე 16 გუნდს ითვლის. ესენია: „იუვენტუსი“, „ინტერი“, „მილანი“, „რეალი“, „ბარსელონა“, „პორტუ“, „პარი სენ ჟერმენი“, „მარსელი“, „აიაქსი“, „ბაიერნი“, „დორტმუნდი“, „ლივერპული“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „პსვ ეინდჰოვენი“.

პაპუნა კედია

ჩვენ მოგკლავთ, ჟოზე!

მაურინიუს წიგნის დეტალები



ჩემპიონთა ლიგის ფინალიდან სამი თვის შემდეგ ჟოზე მაურინიუმ, „პორტუს“ მაშინდელმა და „ჩელსის“ ახლანდელმა თავკაცმა, გადაწყვიტა, პრესისთვის „მონაკოსთან“ მატჩის წინა სატელეფონო მუქარაზე მოეთხრო. პორტუგალიური TVI-სადმი მიცემულ ინტერვიუში ჟოზემ შემდეგი დეტალები გაამხილა: „ტელეფონი რეკავს და ვიღაც ტიპი მეუბნება: ახლა არაფერს დაგიშავებთ, რადგან „პორტუს“ ფინალში უნდა უხელმძღვანელო. ფრანგებთან თამაშის მერე კი ჩათვალე, რომ მკვდარი ხარ. პორტუში ჩამოსვლისთანავე ლა სამპრეს დაგახვედრებთ, გადარჩენისთვის არავითარი შანსი არ გექნება“.

ამან თავკაცი გვარიანად დააფრთხო — მაურინიუ „პორტუს“ მიერ ჩემპიონთა თასის მოპოვების აღსანიშნავ ცერემონიალზე საერთოდ არ გამოჩენილა. იმ ამბიდან მცირე ხნის შემდეგ მუქარა კვლავ განმეორდა, ოღონდ ამჯერად სატელეფონო შემწუხებელმა ჟოზეს უთხრა, რომ სამპრე მარტო მისთვის კი არა, მისი ოჯახისთვისაც იყო გამზადებული. მწვრთნელმა პოლიციას მიმართა, თუმცა ლუზიტანიელ სამართლისდამცველთ ბოროტმოქმედები დღესაც ვერ დაუკავებიათ. ყოველივე ამის შესახებ ჟოზე მაურინიუ უფრო დაწვრილებით თავის წიგნში მოგვითხრობს, რომლის ხილვის საშუალება ბრიტანელ და პორტუგალიელ მკითხველს უკვე კვირას მიეცემა.

„გამარჯვებათა ეპოქა“, ასე ჰქვია ამ წიგნს.

ლადო ხომერიკი

პოპოვ პაპარა

ფრანჩესკო კოკო იმედოვნებს, რომ ნოემბრისთვის ისევ გამოჩნდება „ინტერის“ შემადგენლობაში, არადა, იყო ეჭვი, რომ ის საერთოდ ვერ შეძლებდა სიარულს.

იტალიის ნაკრების ყოფილი წევრი, რომელსაც მთელი წელიწადია, ერთ შეხვედრაშიც არ მიულია მონაწილეობა, ნელ-ნელა უბრუნდება ჩვეულებრივ მდგომარეობას. კოკომ ზურგზე ოპერაცია გადაიტანა. მხოლოდ ასე თუ შეძლებდა ფეხის დაზიანებული ნერვის გადარჩენას.

„აღარაფერი მტკივა და სწრაფად ვუმჯობესდები — განუცხადა კოკომ „გაძეტა დელო სპორტს“ — ეს კი ჩემთვის უდიდესი მიღწევა, ნამდვილი ტრიუმფია, ვინაიდან იყო საშიშროება, რომ საერთოდ ვერ გავივლიდი“.

ადრეც მოგახსენეთ, რომ კოკოს მდგომარეობიდან გამომდინარე „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ იგი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეიყვანა.

„მწვრთნელი მართალია, მას თითოეულ პოზიციაზე ორი მოთამაშე სჭირდება და ამჯერად ჯოვანი პასკუალესა და ჯუზეპე ფავალის დაეყრდნო. ეს ორი ფეხბურთელი კარგ ფორმაშია. მე კი ერთწლიანი უმოქმედობის შემდეგ ახლაღა მოვდივარ გონს. რომელიმე მათგანი რომ დაშავებულიყო, მე სრულყოფილად ვერ შევცვლიდი. საერთოდაც, სჯობს რისკს მოვერიდო. ამხანაგური თამაში ერთია, ჩემპიონთა ლიგის მატჩი — მეორე“.

27 წლის კოკოს ოდესღაც ახალ პაოლო მალდინის ეძახდნენ, მაგრამ „მილანის“ შემდეგ მისი კარიერა „ტორინოსა“ და „ბარსელონაში“ გატარებული ხანმოკლე მონაკვეთებად დაიყო.

პაპუნა კედია



არ დაბაჯინწყდეთ, ეს ლივერპულია!

ბენიტესი ენფილდზე ინგლისურ სულს ებრძვის

„ვალენსიას“ ყოფილი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი „ლივერპულში“ კარგად მოეწყო და „ენფილდ როუდზე“ ახალი გუნდის შენებას შეუდგა. მადრიდულ „ასთან“ ინტერვიუში ბენიტესმა მაიკლ ოუენის ტრანსფერზე, „ლივერპულის“ სამომავლო პროექტებზე და სხვა მრავალ საინტერესო ამბავზე ჩვეული გულახდილობით ისაუბრა

— „ვალენსიას“ შემდეგ სამწვრთნელო კარიერის გასაგრძელებლად „ლივერპული“ აირჩიეთ. თქვენს ახალ გუნდზე რას გვეტყვით?

— უპირველესად ლივერპულელების ჩემდამი გულთბილ დამოკიდებულება გამოვარჩევ. კლუბის თავკაცებმაც მუშაობისთვის საუკეთესო პირობები შემომთავაზეს.

— „ლივერპული“ თავისი მდიდარი წარსულით ინგლისური ფეხბურთის ჩინებულ ნიმუშად ითვლება. ალბათ არ შევცდებით, თუ „ენფილდ როუდის“ სახელოვან კლუბს ასე შევაფასებთ...

— მართალს ამბობთ. თუმცა, ცხადია, ინგლისელ ფანებს წარსულ დიდებაზე მეტად დღევანდელი ჯილდოები უნდათ.

— და ასეთ გუნდში მიდის რაფაელ ბენიტესი, ახალგაზრდა ესპანელი — უცხოელი და თანაც მკაცრი მწვრთნელი...

— არც ისე მკაცრი ვარ. თუმც იმას ვერ შევეგუები, რაც შარშანდელ სეზონში მოხდა, „ლივერპული“ პრემიერლიგის ჩემპიონ „არსენალს“ 30 ქულით ჩამორჩა, ნამდვილად არ მინდა, ასეთი რამ წლეულსაც განმეორდეს.

— უკვე მრავალი მოწინააღმდეგე გამოგიჩნდათ. მაიკლ ოუენის გაყიდვისთვის და 4 ესპანელის შეძენისთვის გაკრიტიკებენ. თანაც გითქვამთ, რომ მატჩების მოსაგებლად მხოლოდ განთქმული ინგლისური სულისკვეთება არაა საკმარისი...

— სწორედ ამ ინგლისური სულით დავიწყოთ. რამდენიმე ხნის წინ ერთმა ვეტერანმა ინგლისელმა ფეხბურთელმა თქვა, ბენიტესი „ლივერპულში“ ინგლისური სულისკვეთების ჩაკვლას ცდილობსო. ალბათ მისი ნათქვამი ჩემს გუნდში მოთამაშე უცხოელების შეურაცხყოფისთვის იყო გამიზნული. მაშინ რა ვთქვათ „არსენალზე“, რომლის ძირითადში, გასულ პრემიერლიგაში, ოდენ ერთი ინგლისელი იყო და ჩემპიონობას ვინ ჩივის, არ დამარცხებულა?!

— მაიკლ ოუენის ტრანსფერზე გვითხარით.

— „ოუენის საქმის“ გაკონტროლება ჩვენ არ შეგვეძლო. მის საფეხბურთო აგენტს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. ფეხბურთელიც მადრიდის „რეალის“ სიდიადემ მოხიბლა. მაიკლის კლუბიდან წასვლა გარდაუვალი იყო.

— დევიდ ბექემი, მაიკლ ოუენი, ჯონათან ვუდგეიტი... ახლა „რეალი“ „ბითლზს“ უფრო წააგავს...

— ვუდგეიტი შესანიშნავი მცველია. მე „ლივერპულის“ უფროსობას ჯონათანის შეძენა ვთხოვე. მისი ჩვენთან გადმოყვანა თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ფული არ გვეყო. „რეალმა“ კი მას გაცილებით სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა.

— რახან „რეალზე“ ჩამოვარდა სიტყვა, ისიც გავიხსენოთ, რომ კასტილიელთა ახალგაზრდულ გუნდში რაულს სწორედ თქვენ ავარჯიშებდით. სამეფო კლუბის კაპიტნის ბოლოჟამინდელ ჩავარდნებზე რას იტყვით?

— რაული? საშუალება რომ მქონდეს, დაუყოვნებლივ ჩავრიცხავდი „ლივერპულში“. ვფიქრობ, თქვენს შეკითხვაზე უკვე გიპასუხეთ, თუმცა „რეალის“ კაპიტანს ჯერჯერობით ჩვენი ხაზინა ვერ შესწვდება.

— გასული სეზონის ბოლოს თქვენზე, როგორც მადრიდის „რეალის“ ან კატალონიური „ბარსელონას“ სავარაუდო მწვრთნელზე ლაპარაკობდნენ. დღეს „ენფილდზე“ გამგზავრებას ხომ არ ნანობთ?

— არავითარი სინანული... ევროპულ გრანდს ვწვრთნი და თავს ბედნიერად ვგრძნობ. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს „ლივერპულია“.

— და მაინც, თქვენი ნება რომ იყოს, ხსენებული ორი გუნდიდან რომელს აირჩევდით?

— ვერაფერს გეტყვით. ორივე კლუბს ძალიან ვაფასებ, მაგრამ დღევანდელი ჩემი საზრუნავი მხოლოდ „ლივერპულია“.

— ამბობენ, სამუელ ეტოოსა და ფერნანდო მორიენტესის ყიდვაც გინდოდათ...

— ეტოოს შეძენა ჯერ კიდევ „ვალენსიაში“ მუშაობისას მსურდა. დიდებული თავდამსხმელია, თან დღითი დღე უკეთესად თამაშობს. ფერნანდო მორიენტესი მაიკლ ოუენის სატრანსფერო ოპერაციაში უნდა ჩაგვერთო, მაგრამ „ელ მორომ“ კამაჩოს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ყოფნა აღუთქვა.

— ხოსები, ხაბი ალონსო, ლუის გარსია და ნუნიესი... ამ ბიჭებით კმაყოფილი ხართ?

— „ლივერპულის“ ფანობამ ყველა ესპანელი მოთამაშე კარგად მიიღო. მათი და სხვათა შემწეობით წინა სეზონში შელახული პრესტიჟის აღდგენას ვეცდებით.

— გსურთ, რომ „ლივერპულმა“ ისევე ითამაშოს, როგორც თქვენი დროის საუკეთესო „ვალენსიამ“?

— მე მსურს ისეთი „ლივერპული“, რომელიც ბურთს მოწინააღმდეგეზე უკეთესად ფლობს და დაცვასა და თავდასხმაში ერთნაირად ძლიერია. „ენფილდზე“ ახალი „ვალენსიის“ გამოძერწვის სქემებს არ ვქმნი. ინგლისური ფეხბურთი თავისებურია, სხვა სისტემებს ძნელად ერგება ხოლმე.

— წინა უქმეებზე ფერნანდო იეროსა და ივან კამპოს „ბოლტონმა“ დაგამარცხათ. ალბიონზეც ისევე მწარედ აკრიტიკებენ დამარცხებულებს, როგორც ესპანურ პრიმერადივიზიონში?

— არა, აქ სხვაგვარი ვითარებაა. თანაც გულშემატკივარმა იცის, რომ წინ ხუთწლიანი პროექტი გვიდევს და ერთი შეხვედრის წაგებით მეტისმეტად არავინ აღელვებულა. „ბოლტონთან“ დამარცხების მერე ჩემთან „ლივერპულის“ თავმჯდომარე მოვიდა და მთხოვა, არ მენერვიულა. მისი აზრით, საკმარისი დრო გვაქვს იმისთვის, რომ შეცდომები გამოვასწოროთ.

— პრიმერადივიზიონს ვინ მოიგებს?

— ფავორიტები „რეალი“, „ბარსა“, „დეპორი“ და „ვალენსია“ არიან. „რეალი“ შარშანდელთან შედარებით უფრო ძლიერია. დაცვას სამეული და ვუდგეიტი გაამაგრებენ და ივან ელგერას ხელ-ფეხი გაეხსნება. „ბარსაც“ შესანიშნავი გუნდია, ოღონდ ვერ გეტყვით, ამდენი ახალი ფეხბურთელი შეთამაშებას როგორ მოახერხებს. „დეპორსაც“ და „ვალენსიასაც“ სოლიდური შემადგენლობები ჰყავთ. 2004-05-ის პრიმერა ძალიან რთული იქნება.

ფეხბურთის რუკასთან

რუსული „საატურნის“ ბრაზილიელმა მცველებმა ჟედერმა და ჟუანმა რუსეთის ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვეს. სამხრეთამერიკელები ირწმუნებიან, რომ მათ ქვეყანას 5 ძლიერი ნაკრების შედგენა შეუძლია, ხოლო მათი ძირითად გუნდში მოხვედრის შანსი, ფაქტობრივად, არ არსებობს. ამიტომ ჟედერი და ჟუანი მზად არიან, შეიცვალონ მოქალაქეობა და რუსეთის ღირსება დაიცვან.

ბრაზილიის ჩემპიონატის გასულმა ტურმა ერთბაშად სამი კლუბის მწვრთნელი შეიწირა. „ინტერნასიონალი“, „კრისიუმა“ და „სან პაულუ“ მორიგი წაგებების გამო თავიანთ თავკაცებს, შესაბამისად — ჟოელ სანტანას, ვაგნერ ბენცს და კუკუს გამოემშვიდობნენ. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიის მიმდინარე ჩემპიონატი აპრილში დაიწყო და აქამდე უკვე 29 მწვრთნელის დათხოვნა მოასწრეს.

იტალიური „რომას“ მცველი ფილიპ მექსეში ფიფამ 6-კვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. 22 წლის ფრანგმა დედაქალაქელებთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ გასვლოდა ვადა მის ძველ კონტრაქტს „ოსერთან“, რის გამოც ტრანსფერი კინაღამ ჩაიშალა. საბოლოოდ მექსეში მაინც გადაბარგდა რომში, მაგრამ ოქტომბრის ბოლომდე იგი „გლადიატორებს“ ვერ დაეხმარება. ფეხბურთელი ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო, რომელიც ცოტა ხნის წინ გაეყარა თავის ცოლს მილენა დომინგუშს, კვლავ დაქორწინებაზე ფიქრობს. ეს ინფორმაცია ბრაზილიურმა პრესამ გაავრცელა. კიჭამ ნაკრების შეკრებაზე თავისი ახალი მეგობარი გოგონა, მოდელი დანიელა ჩიკარელი ჩაიყვანა. იქაური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, წყვილი ძალიან ბედნიერად გამოიყურებოდა.

ბულგარეთის ნაკრები 2006 წლის მუნდიალზე მოხვედრის შემთხვევაში 1 მილიონ ევროს მიიღებს. ეს ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ბორისლავ მიხაილოვისა და ეროვნული ნაკრების კაპიტან სტილიან პეტროვის ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა. შეგახსენებთ, რომ ბულგარეთის ნაკრებმა ანალოგიური ჯილდო ევრო 2004-ზე გასვლისთვისაც მიიღო...

შოტლანდიური „რეინჯერსის“ ახალმა პრეზიდენტმა დევიდ მიურეიმ განაცხადა, კლუბში 84 მილიონი ევროს დაბანდებას ვაპირებო. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ჩაფრები“ ახალ ფეხბურთელებს დაიმატებენ ან სხვა სახით ეცდებიან გუნდის გაძლიერებას, ეს ფული ფაქტობრივად მთლიანად „რეინჯერსის“ ვალებში წავა, რაც გლაზგოელებს სერიოზულ ფინანსურ კრიზისს გადაატანინებს. აქვე შეგახსენებთ, რომ მიურეი 90-იანი წლების შუაშიც იყო „რეინჯერსის“ პრეზიდენტი, ამჟამად კი იგი კლუბის აქციათა 80 პროცენტს ფლობს.

გერმანული „ბაიერნის“ ბრაზილიელი მცველი ლუსიო მიუნხენელთა თავკაც ფელიქს მაგათზე ძალიან გაბრაზებულია და საჯაროდაც კი ემუქრება. საქმე ისაა, რომ მაგათმა იგი შეცვალა თავის ყოფილ კლუბ „ლევერკუზენთან“ მატჩისას. „ეს თუ განმეორდა, მაგათს პრობლემები შეექმნება. ჩემი გამოცვლა არ შეიძლება“ — თქვა სამხრეთამერიკელმა მცველმა.

იტალიურმა „მილანმა“ გაყიდული აბონემენტების მიხედვით საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა. 31 აგვისტოსთვის „შავ-წითლების“ ქომაგებს 49 546 აბონემენტი ჰქონდათ შეძენილი. ეს მაჩვენებელი 410 ცალით აღემატება შარშანდელს. ბუნებრივია, კლუბის ხელმძღვანელობა კმაყოფილია და ეარაუდობს, რომ გაყიდული აბონემენტების რაოდენობა სეზონის დაწყებამდე კიდევ გაიზრდება.

სარგებელი: კრეკერ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I ლიგა. VII ტური						
		4 სექტემბერი						
18.00	129	ბრედფორდი-პორტ ვეილი	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
18.00	130	ბრენტფორდი-ბორნმუთი	1,95	3,2	3,4	1,21	1,23	1,64
18.00	131	ჩესტერფილდი-დონსი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
18.00	132	კოლჩესტერი-სუინდონი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
18.00	133	დონკასტერი-უოლსოლი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
18.00	134	ჰარტლპული-ბარნლსი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	135	პიტერბრო-ბრისტოლი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
18.00	136	უესსდი-ლუტონი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
18.00	137	სტოკპორტი-ტორკი	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
		5 სექტემბერი						
15.00	138	ჰადერსფილდი-ჰალი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
		ინგლისი. II ლიგა. VII ტური						
		4 სექტემბერი						
18.00	156	ბოსტონი-კემბრიჯი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
18.00	157	როუერსი-შრიუსბერი	1,55	3,4	5,6	1,06	1,21	2,11
18.00	158	ბერი-ლინკოლნი	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
18.00	159	ჩესტერი-მაკლსფილდი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
18.00	160	დარლინგტონი-სკანთორპი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
18.00	161	გრიმსბი-როჩდეილი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
18.00	162	კიდერმინსტერი-ლეიტონი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
18.00	163	ნოტსი-ჩელტენემი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	164	რაშდენი-საუთენდი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
18.00	165	იოვილი-სუონსი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
		5 სექტემბერი						
18.00	166	მენსფილდი-ნორთჰემპტონი	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
		ინგლისი. კონფერენსი. VI ტური						
		4 სექტემბერი						
15.05	182	კარლაილი-ბარტონი	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
18.00	183	აკრინგტონი-უოკინგი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
18.00	184	ალდერშოტი-ნორთვიჩი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
18.00	185	ბარნეტი-მორიკომბი	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
18.00	186	დაგ ენდ რედი-იორკი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
18.00	187	ექსეტერი-ქროული	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
18.00	188	გრეიესენდი-სტივენეიჯი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
18.00	189	ჰერეფორდი-ჰალიფაქსი	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
18.00	190	ლეი-ფორესტ გრინი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
18.00	191	სკარბორო-კონეი	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
18.00	192	ტემუორთი-ვარნბორო	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
		შოტლანდია. I დივიზიონი. V ტური						
		4 სექტემბერი						
18.00	195	ერდრი-ქუინი	2,15	3,5	2,7	1,33	1,19	1,52
18.00	196	კლაიდი-სტ.მირენი	1,8	3,5	3,4	1,18	1,17	1,72
18.00	197	ჰამილტონი-სტ.ჯონსტონი	2,45	3,5	2,3	1,44	1,18	1,38
18.00	198	პარტიკი-ფოლკირკი	1,9	3,5	3,2	1,23	1,19	1,67
18.00	199	რეითი-როსი	2,5	3,5	2,25	1,45	1,18	1,36
		შოტლანდია. II დივიზიონი. V ტური						
		4 სექტემბერი						
18.00	202	ალოა-ეარი	2,5	3,5	2,25	1,45	1,18	1,36
18.00	203	ბერიკი-დამბარტონი	2,25	3,5	2,5	1,36	1,18	1,45
18.00	204	ფორფარი-სტირლინგი	2,2	3,5	2,6	1,35	1,19	1,49
18.00	205	მორტონი-არბროთი	1,4	4,2	6,0	1,04	1,13	2,47
18.00	206	სტრანრარი-ბრეჩინი	2,2	3,5	2,6	1,35	1,19	1,49
		შოტლანდია. III დივიზიონი. V ტური						
		4 სექტემბერი						
18.00	209	ისტ სტირლინგი-ელგინი	4,4	4,0	1,5	2,09	1,11	1,09
18.00	210	გრეტნა-კუოდენბითი	1,4	4,2	6,0	1,04	1,13	2,47
18.00	211	მონტროუზი-ალბიონი	1,95	3,5	3,1	1,25	1,19	1,64
18.00	212	პიტერჰედი-ისტ ფაიფი	1,55	3,8	4,8	1,1	1,17	2,12
18.00	213	სტენჰაუზმური-ქუინზ პარკი	1,9	3,5	3,2	1,23	1,19	1,67
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VII ტური						
		4 სექტემბერი						
16.00	220	კილი-ფორტუნა	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
16.00	221	ვოლფსბურგი(მ)-მიუნსტერი	2,05	3,3	3,1	1,26	1,23	1,59
16.00	222	კიოლნი(მ)-დორტმუნდი(მ)	2,45	3,3	2,4	1,4	1,21	1,38
16.00	223	ვუპერტალი-ლიუბეკი	2,3	3,3	2,6	1,35	1,22	1,45
16.00	224	ჰერტა(მ)-ქემნიცი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
16.00	225	ურდინგენი-ვერდერი(მ)	2,0	3,4	3,1	1,25	1,21	1,62
		5 სექტემბერი						
16.00	226	ჰამბურგი(მ)-პადერბორნი	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). V ტური						
		4 სექტემბერი						
16.30	231	მაინცი(მ)-ფულენდორფი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
16.30	232	აუგსბურგი-დარმშტადი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
16.30	233	კიკერსი-ნოტინგენი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
16.30	234	ფოიხტი-რეგენსბურგი	2,9	3,3	2,15	1,54	1,23	1,3
16.30	235	მიუნხენი(მ)-ჰოფენჰაიმი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
16.30	236	კობლენცი-ბაიერნი(მ)	3,3	3,4	1,9	1,67	1,2	1,21
16.30	237	ვეენი-ზიგენი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
		ესპანეთი. II დივიზიონი. II ტური						
		4 სექტემბერი						
20.30	241	სელტა-ტარაგონა	1,55	3,2	6,5	1,04	1,25	2,14
23.30	243	ელჩე-სიუდადი	2,05	2,7	3,8	1,16	1,33	1,57
24.00	250	ვალიადოლიდი-ტენერიფე	1,7	2,8	4,6	1,05	1,24	1,74
		5 სექტემბერი						
21.00	240	კადისი-ლეიდა	1,75	2,9	4,8	1,09	1,28	1,8
22.30	242	კორდობა-პონტევედრა	1,85	2,7	4,6	1,09	1,31	1,7
20.00	244	ფეროლი-ალმერია	2,05	2,7	3,8	1,16	1,33	1,57
21.00	245	მალაგა ბ-ეიბარი	2,4	2,6	3,1	1,24	1,35	1,41
21.00	246	მურსია-სპორტინგი	2,05	2,7	3,8	1,16	1,33	1,57
21.00	247	ეხიდო-ტერასა	2,25	2,7	3,3	1,22	1,33	1,48
22.30	248	უელვა-ალავესი	2,1	2,7	3,6	1,18	1,32	1,54
21.00	249	სალამანკა-სერესი	2,2	2,7	3,4	1,21	1,33	1,5
		საფრანგეთი. II დივიზიონი. VI ტური						
		5 სექტემბერი						
20.00	262	ამიენი-შატორუ	1,8	2,9	4,6	1,11	1,29	1,77
		6 სექტემბერი						
22.15	263	ნანსი-ტრუა	1,75	3,0	4,8	1,1	1,28	1,84
		ბელგია. II დივიზიონი. IV ტური						
		5 სექტემბერი						
17.00	280	დაინცე-რუზელარე	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
17.00	281	დესელი-ვარეგემი	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
17.00	282	აალსტი-ვაასლანდი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
17.00	283	ვიკორი-ეუპენი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
17.00	284	ჰეუსდენი-ვიზეტი	1,45	3,6	6,5	1,03	1,18	2,31
17.00	285	კორტრაიკი-გეელი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
17.00	286	რონსე-ანტვერპენი	3,3	3,2	2,0	1,62	1,24	1,23
17.00	287	ტუბეკე-პატრო	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
		შვეიცარია. ჩელენჯლიგა. VI ტური						
		5 სექტემბერი						
16.30	296	ვილი-ივერდონი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
18.00	297	სიონი-კონკორდია	1,95	3,2	3,3	1,21	1,22	1,62

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაამზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		დანია. I დივიზიონი. XVI ტური						
		5 სექტემბერი						
15.00	303	იოლსტიკე-ნესტვედი	1,9	3,6	3,1	1,24	1,17	1,66
15.00	304	ბ 93-ფრედერისია	3,0	3,6	1,95	1,63	1,18	1,26
17.00	305	კიოგე-სიონდერიისკე	2,2	3,6	2,5	1,36	1,17	1,47
17.00	306	ჰორსენსი-ჰელერუპი	1,75	3,6	3,5	1,17	1,16	1,77
15.00	307	ნიკიობინგი-ვეილე	2,35	2,6	2,35	1,23	1,17	1,23
		შვედეთი. სუპერეტა. XXIII ტური						
		4 სექტემბერი						
18.10	320	ატვიდაბერგი-გეფლე	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
		5 სექტემბერი						
18.00	321	ასირისკა-ბოდენსი	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
18.00	322	ბრომაპოიკარნა-გაის	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
18.00	323	ფალკენბერგი-ფრიოლუნდა	2,4	3,3	2,3	1,38	1,17	1,35
18.00	324	ფრისკა-ბრაგე	2,3	3,3	2,6	1,35	1,22	1,45
		6 სექტემბერი						
21.00	326	იოსტერსი-ოპერა	1,8	3,2	3,4	1,15	1,17	1,64
21.00	327	ენჩიოპინგი-ნორჩიოპინგი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
		ნორვეგია. I დივიზიონი. XXI ტური						
		5 სექტემბერი						
18.00	332	ბრინი-მოსი	1,8	3,6	3,3	1,19	1,16	1,72
18.00	333	მანდალი-სკეიდი	1,65	4,0	3,8	1,16	1,15	1,94
18.00	334	ჰორს გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი	2,3	3,8	2,35	1,43	1,16	1,45
18.00	335	რაუფოსი-კონესვინგერი	2,1	3,8	2,6	1,35	1,16	1,54
18.00	336	ტრომსდალენი-ალესუნდი	4,8	5,0	1,35	2,44	1,05	1,06
18.00	337	ვარდ ჰაუგესუნდი-ჰაონეფოსი	2,25	3,8	2,4	1,41	1,16	1,47
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXII ტური						
		5 სექტემბერი						
19.30	345	ალიანსი-კტპ	1,6	3,5	4,6	1,09	1,18	1,98
		ირლანდია. პრემიერლიგა. XXV ტური						
		4 სექტემბერი						
23.00	357	ლონგფორდი-დერი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
		6 სექტემბერი						
22.45	358	შელბურნი-დუბლინი	1,25	4,2	8,0	1	1,08	2,75
		მექსიკა. აპერტურა. III ტური						
		6 სექტემბერი						
24.00	384	კრუს ასული-ხაგუარესი	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
		აშშ. MLS						
		4 სექტმბერი						
03.30	387	კოლამბუსი-ლოს ანჯელესი	2,3	3,0	2,9	1,3	1,28	1,47
04.30	388	ჩიკაგო-ვაშინგტონი	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
04.30	389	კანზასი-ნიუ იორკი	1,95	3,2	3,4	1,21	1,22	1,64
05.00	390	კოლორადო-დალასი	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
06.00	391	ნიუ ინგლენდი-სან ხოსე	2,4	3,1	2,5	1,35	1,4	1,41
		იტალია. თასი. I ეტაპი						
		5 სექტემბერი						
19.00	406	პესკარა-რიმინი	1,65	3,2	4,6	1,08	1,21	1,88
		მჩ. შესარჩევი მატჩები						
		4 სექტემბერი						
18.00	004	ირლანდია-კვიპროსი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
18.00	005	ფინეთი-ანდორა	1,04	8,0	20,0	1	1	10
18.00	006	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	3,5	3,1	2,05	1,64	1,29	1,23
19.00	007	რუსეთი-სლოვაკეთი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
19.00	008	ესტონეთი-ლუქსემბურგი	1,1	7,0	14,0	1	1,01	4,66
19.30	009	შვეიცარია-ფარერები	1,05	8,0	17,5	1	1	5,49
20.00	010	ისლანდია-ბულგარეთი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
20.00	011	აზერბაიჯანი-უელსი	6,5	3,6	1,5	2,31	1,21	1,05
21.00	012	თურქეთი-საქართველო	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
21.15	013	ლატვია-პორტუგალია	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
21.30	014	რუმინეთი-მაკედონია	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
22.00	015	დანია-უკრაინა	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
22.15	016	სლოვენია-მოლდოვა	1,3	4,4	9,0	1	1,13	2,95
22.15	017	ბელგია-ლიტვა	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
22.30	018	ხორვატია-უნგრეთი	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
22.30	019	ავსტრია-ინგლისი	5,0	3,4	1,65	2,02	1,24	1,11
22.30	020	სან მარინო-სერბია	20,0	8,0	1,04	5,71	1	1
22.45	021	იტალია-ნორვეგია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
22.45	022	ალბანეთი-საბერძნეთი	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
22.45	023	საფრანგეთი-ისრაელი	1,2	5,0	12,0	1	1,09	3,52
22.45	024	მალტა-შვედეთი	15,0	7,0	1,1	4,77	1,02	1
04.00	025	პერუ-არგენტინა	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
		5 სექტემბერი						
22.15	026	ურუგვაი-ეკვადორი	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
00.10	027	ბრაზილია-ბოლივია	1,1	6,0	15,0	1	1,02	4,28
02.20	028	პარაგვაი-ვენესუელა	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
05.00	029	ჩილე-კოლუმბია	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
		ჰოკეი. მსოფლიოს თასი						
		4 სექტემბერი						
20.00	1110	შვედეთი-ფინეთი	2,35	4,0	2,2	1,48	1,13	1,41
03.00	1111	კანადა-რუსეთი	1,55	4,8	3,6	1,17	1,08	2,05

ინფორმაციისთვის

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
5006	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	4,2	2,05	2,4	1,37	1,52	1,1
5007	რუსეთი-სლოვაკეთი	1,7	2,5	6,0	1,01	1,32	1,76
5010	ისლანდია-ბულგარეთი	3,3	2,05	2,9	1,26	1,54	1,2
5013	ლატვია-პორტუგალია	4,6	2,05	2,3	1,41	1,53	1,08
5015	დანია-უკრაინა	1,95	2,2	5,6	1,03	1,44	1,57
5018	ხორვატია-უნგრეთი	1,9	2,2	6,0	1,01	1,44	1,6
5019	ავსტრია-ინგლისი	5,3	2,15	2,05	1,52	1,47	1,04
5021	იტალია-ნორვეგია	1,9	2,15	6,0	1	1,44	1,58
5025	პერუ-არგენტინა	5,0	2,05	2,2	1,45	1,52	1,06
5026	ურუგვაი-ეკვადორი	1,9	2,15	6,0	1	1,44	1,58
5028	პარაგვაი-ვენესუელა	1,7	2,5	6,0	1,01	1,32	1,76
5029	ჩილე-კოლუმბია	2,4	2,05	4,2	1,1	1,52	1,37

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესონი წაგებულად ჩაითვლება)

5406	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	2,0	1,8
5407	რუსეთი-სლოვაკეთი	1,35	3,2
5410	ისლანდია-ბულგარეთი	1,9	1,9
5413	ლატვია-პორტუგალია	2,2	1,7
5415	დანია-უკრაინა	1,4	3,0
5418	ხორვატია-უნგრეთი	1,4	3,0
5419	ავსტრია-ინგლისი	2,6	1,5
5421	იტალია-ნორვეგია	1,4	3,0
5425	პერუ-არგენტინა	2,3	1,65
5426	ურუგვაი-ეკვადორი	1,4	3,0
5428	პარაგვაი-ვენესუელა	1,3	3,4
5429	ჩილე-კოლუმბია	1,75	2,1

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5106	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	5,3	10,0	20,0	6,0	4,4	4,0	20,0	10,0	3,0
5107	რუსეთი-სლოვაკეთი	1,9	12,0	25,0	3,5	4,6	12,0	20,0	11,0	11,0
5110	ისლანდია-ბულგარეთი	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,4	20,0	10,0	3,6
5113	ლატვია-პორტუგალია	6,5	10,0	20,0	7,0	4,4	3,6	20,0	10,0	2,6
5115	დანია-უკრაინა	2,3	10,0	20,0	3,5	4,4	9,0	20,0	10,0	8,0
5118	ხორვატია-უნგრეთი	2,2	10,0	20,0	3,5	4,6	10,0	20,0	10,0	9,0
5119	ავსტრია-ინგლისი	8,0	10,0	20,0	9,0	4,6	3,5	20,0	10,0	2,3
5121	იტალია-ნორვეგია	2,1	10,0	20,0	3,5	4,6	10,0	20,0	10,0	10,0
5125	პერუ-არგენტინა	7,0	10,0	20,0	7,5	4,4	3,5	20,0	10,0	2,5
5126	ურუგვაი-ეკვადორი	2,1	10,0	20,0	3,5	4,6	10,0	20,0	10,0	10,0
5128	პარაგვაი-ვენესუელა	1,8	12,0	25,0	3,5	4,8	12,0	20,0	12,0	12,0
5129	ჩილე-კოლუმბია	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,0	20,0	10,0	5,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5506	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	3,0	2,8	2,0
5507	რუსეთი-სლოვაკეთი	3,0	2,8	2,0
5510	ისლანდია-ბულგარეთი	3,0	2,8	2,0
5513	ლატვია-პორტუგალია	3,0	2,8	2,0
5515	დანია-უკრაინა	3,0	2,8	2,0
5518	ხორვატია-უნგრეთი	3,0	2,8	2,0
5519	ავსტრია-ინგლისი	3,0	2,8	2,0
5521	იტალია-ნორვეგია	3,0	2,8	2,0
5525	პერუ-არგენტინა	3,0	2,8	2,0
5526	ურუგვაი-ეკვადორი	3,0	2,8	2,0
5528	პარაგვაი-ვენესუელა	3,0	2,8	2,0
5529	ჩილე-კოლუმბია	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5306	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	1,8	1,8
5307	რუსეთი-სლოვაკეთი	1,8	1,8
5310	ისლანდია-ბულგარეთი	1,7	1,9
5313	ლატვია-პორტუგალია	1,7	1,9
5315	დანია-უკრაინა	1,75	1,85
5318	ხორვატია-უნგრეთი	1,7	1,9
5319	ავსტრია-ინგლისი	1,7	1,9
5321	იტალია-ნორვეგია	1,8	1,8
5325	პერუ-არგენტინა	1,7	1,9
5326	ურუგვაი-ეკვადორი	1,75	1,85
5328	პარაგვაი-ვენესუელა	1,8	1,8
5329	ჩილე-კოლუმბია	1,7	1,9

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5206	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	1,8	1,8
5207	რუსეთი-სლოვაკეთი	1,8	1,8
5210	ისლანდია-ბულგარეთი	1,7	1,9
5213	ლატვია-პორტუგალია	1,7	1,9
5215	დანია-უკრაინა	1,75	1,85
5218	ხორვატია-უნგრეთი	1,85	1,75
5219	ავსტრია-ინგლისი	1,85	1,75
5221	იტალია-ნორვეგია	1,75	1,85
5225	პერუ-არგენტინა	1,7	1,9
5226	ურუგვაი-ეკვადორი	1,75	1,85
5228	პარაგვაი-ვენესუელა	1,8	1,8
5229	ჩილე-კოლუმბია	1,7	1,9

სიხარული მეორე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ზვიადაური

ATHENS 2004

ზურაბ ზვიადაურმა ახლა ქუდი რომ დაიხუროს და ძიუდოს გამოეთხოვოს, მისი სახელი მაინც სამუდამოდ დარჩება ქართული სპორტის ისტორიაში. ის საქართველოს 29-ე და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონია.

ზურაბ ზვიადაურის სახელი სამუდამოდ დარჩება მსოფლიო სპორტის ისტორიაშიც. მისი გვარსახელი როგორც ოლიმპიური ჩემპიონისა, ტრადიციისამებრ იტვიფრება ათენის მთავარი ოლიმპიური სტადიონის მარმარილოს ფილაზე.

მე მინახავს ახმეტაში პატარა ზურაბ ზვიადაურის ჭიდაობა, როცა მან ყველა თანატოლს სძლია და პირველობა მოიპოვა, მაგრამ მას არც მაშინ გამოუხატავს სიხარული.

მე მინახავს 1998 წელს მოსკოვში მისი პირველი სერიოზული გამოცდა მსოფლიოს პირველ ახალგაზრდულ თამაშებზე, სადაც ვერცხლის მედალი მოიპოვა, მაგრამ სიხარული არც მაშინ დასტყობია. ეგ კი არა, დანა კბილს არ უხსნიდა, ჩემპიონი როგორ ვერ გავხდიო.

მე ვნახე ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მის მიერ იტალიელი ლეპრეს დამარცხება, რუსი ტაოვის ძლევა, ფრანგ დემონფოკოსთან რევანში, ბრიტანელ გორდონთან გამარჯვება, იაპონელი იზუმის წამოკიდება, გდება და საბოლოო ტრიუმფი.

ზურაბ ზვიადაურს კუნტრუშმალაყებით არც ახლა გამოუხატავს სიხარული, არც სახეზე დასტყობია გახარება, ეგ იყო, მარჯვენა კი შემართა. მერე, როცა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, მაშინ კი სახეზე ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა, მიუბრუნდა სიხარულით გაგიჟებულ ხუთჯვრიანი დროშებით გადაპენტილ ქართველთა ტრიბუნას და თავშეკავებულად კიდევ ერთხელ გაუღიმა.

ავთანდილ გურასაშვილი

ავტორის ფოტოები



ქართველი ხართან რომ დავაბათ...

ბორჯღალოსნები კიდევ შეერკინებიან სამხრეთაფრიკულ „ბლუ ბულზს“

ალბერტ ეპიფანოვი ფოტო

2005 წლის ევროპის ერთა თასი უჩვეულოდ ადრე, 2004 წლის 20 ნოემბერში იწყება. საქართველოს ნაკრები თავის პირველ მატჩს კრასნოდარში რუსეთთან გამართავს და აქამდე ექვსჯერ წაქცეული მარადიული მეტოქის ძლევას ერთხელაც შეეცდება. ისიც არახალია, რომ სლავებთან ჭიდილამდე ბორღალოსნებს სამხრეთამერიკული ტურნე ელით — 6-13 ნოემბერს ჩილესა და ურუგვაის ეროვნულ ნაკრებებს წავესპარინგებით.

როგორც საქართველოს რაგბის კავშირის სანაკრებო კომიტეტის თავმჯდომარე მალხაზ ნაცვლიშვილმა გვაცნობა, ლათინურ ამერიკაში საქართველოს „ა“ ნაკრები ითამაშებს — უმთავრესი მატჩების წინ ყველა კანდიდატის საქმეში ხილვა წინ წაგდებული საქმეაო. საერთოდაც, მწვრთნელებს გასაკუთრებით 21-წლამდელთა ნაკრების მორაგბეებისა ეიმედებათ და 2007 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპებზე ძირითადად მათზე აპირებენ დაყრდნობას.

ბორჯღალოსნებს სამხრეთამერიკულზე გაცილებით დატვირთული ვოიაჟი საგაისო მატჩების წინ აქვთ — 9-20 თებერვალს სამხრეთ აფრიკასა და ნამიბიაში ჩავლენ, სადაც სამ ტესტ-მატჩს ითამაშებენ: 12 თებერვალში ჩვენთვის კარგად ნაცნობ პრეტორიულ „ბლუ ბულზთან“, 16-ში ასევე „ქურციკთა“ ქვეყნის ერთ-ერთ გუნდ „ჰოლდენლაინთან“ და 19-ში ბოლო ორი მსოფლიოს თასის მონაწილე ნამიბიის ეროვნულ ნაკრებთან. 2005 წლის ერთა თასი კი აფრიკული ტურნედან ერთ კვირაში განახლდება.

და ისევ „ბლუ ბულზზე“, რომლის თბილისში ჩამოსვლამ დიდი რაგბის სამი გაკვეთილიც მოგვცა და ალბათ პრესტიჟიც აგვიმაღლა. არის შანსი, პრეტორიული „ლურჯი ხარების“ დარი „ბობოლა“ კლუბი ან ნაკრები გაისადაც გვეს-ტუმროს. მალხაზ ნაცვლიშვილისვე თქმით, ამაზე მუშაობა მიმდინარეობს — „მოგეხსენებათ, „ბლუ ბულზი“ ძალიან კმაყოფილი დარჩა ჩვენი მასპინძლობით. აფრიკელებმა ქართველი მორაგეების მონდომება-თავგანწირვაც აღნიშნეს. კლუბის მენეჯერს ირბ-შიც შევუქივართ და ძლიერი კლუბებისთვის რეკომენდაცია გაუწევია, საქართველოში ჩასვლას ნუ მოერიდებით, იქ რაგბი ძალიან უყვართ და სტუმრის მიღებაც იციანო. „ბლუ ბულზის“ სიტყვას კი დიდი წონა აქვს. ჩვენ შორს მიმავალი გეგმები გვაქვს — შესაძლოა, ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის „ა“ ნაკრებები ჩამოვიყვანოთ თბილისში და ოთხთა ტურნირი გავმართოთ. თუ ეს მოხერხდა და ტურნირი ტრადიციული გახდა, ეს იქნება უნიკალური მოვლენა ევროპული ქვეყნისთვის.“

რასაკვირველია, ასეთ გეგმებს ფინანსების უქონლობა ელობება წინ. „ოლ ბლეკსს“ ვარკეთილის მეურნეობასა და აგრარული უნივერსიტეტის სტადიონზე ვარჯიშით ვერ მოხიბლავ. ესეც არ იყოს, უბრალოდ, სამი გოლიათის მასპინძლობის ხარჯებიც ძნელი მოსაძიებელია, თუმც ვნახოთ, იქნებ თბილისის შვიდკაცა სერიის მსგავსად, ეს საქმეც მოკვარახჭინდეს...“

ილია ნანოგაშვილი

სანიკიძეს მეთვალყურე აადევნეს

მამაცაშვილს რასინგში გაზომავენ



რიდ სალივანი და ვიქტორ სანიკიძე

— **გილოცავთ „რასინგის“ მენეჯერობას, აქამდე სხვა გუნდებისთვის ეძებდით მოთამაშეებს, ახლა კი მხოლოდ თქვენთვის შეარჩევთ...**

— გმადლობთ, მაგრამ მინდა, გითხრათ, რომ მე „რასინგის“ პრეზიდენტი ვარ და არა მენეჯერი.

— **ჩვენ კი ვიცოდით, თითქოს პრეზიდენტი სააგენტო „ენტერსპორტის“ ხელმძღვანელი მარკ ფლეიშერი იყო...**

— არა, ფლეიშერს გუნდში რაიმე ოფიციალური თანამდებობა არ უკავია. ისაა კომპანია „ენტერსპორტის“ ხელმძღვანელი, რომელიც „რასინგის“ ერთ-ერთი მფლობელია.

— **გუნდის დანარჩენი მფლობელები ვინ არიან?**

— თქვენ რომ იცით, ასეთი მხოლოდ სანანტონიელი ტონი პარკერია.

— **გავიგეთ, „რასინგში“ რამდენიმე ქართველი კალათბურთელის მიყვანას აპირებთ...**

— დიახ, გიორგი მამაცაშვილი უკვე აქაა, ვნახოთ...

— **ჯერ არ არის გადაწყვეტილი, რომ იგი „რასინგში“ ითამაშებს?**

— არა, ასე ხელაღებით მას კონტრაქტს აქ არ გაუფორმებენ. ჯერ გასარკვევი გვაქვს, ვინ გვჭირდება და რა პოზიციაზე. თანაც, ის ლიმიტიც უნდა დავიცვათ, რომელიც საფრანგეთის ფედერაციამ დააწესა — თითოეულ კლუბში მინიმუმ ხუთი ფრანგი უნდა იყოს.

— **თუ არ გადაგიწყვეტიათ მამაცაშვილის გუნდში აყვანა, რაღაზე ჩამოვიდა იგი პარიზში?**

— მამაცაშვილი ძალიან პერსპექტიული კალათბურთელია და კმაყოფილი ვიქნები, თუ ის ჩვენს გუნდში ითამაშებს, მაგრამ აქაა მწვრთნელი, რომლის თანხმობის გარეშე ის ვერ ჩაირიცხება „რასინგში“. ამიტომაც ვამბობ, ჯერ უნდა გავარკვიოთ ყველაფერი, მწვრთნელმა შეხედოს მამაცაშვილს და მერეღა გადავწყვეტთ, აგვყავს თუ არა იგი გუნდში.

— **ინტერნეტში გავრცელდა ცნობა, რომ „რასინგს“ გიორგი ცინცაძე და ვიქტორ სანიკიძეც სურს...**

— სურვილი ერთია და რეალობა მეორე. ამ კალათბურთელებს საკმაოდ სერიოზულ კლუბებთან აკავშირებთ კონტრაქტები. „დიჟონს“ არ უნდა სანიკიძის დათმობა.

— **ცინცაძე ახალგაზრდაა და ცსკას ძირითად გუნდში დამკვიდრება უჭირს. ეგებ ის „რასინგში“ გამოეწათხოვრებინათ რუსებს?**

— არაა გამორიცხული, ასეც მოხდეს, მაგრამ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ცინცაძე „რასინგში“ ვერ გადმოვა.

— **რა ამბიცია ექნება განახლებულ „რასინგს“?**

— ჩვენ მეტად სერიოზული ამბიცია გვაქვს, საფრანგეთის ჩემპიონობა გვინდა. თუმც არ იფიქროთ, ახლა ბობოლა მოთამაშეებს ვიყიდით და ასე მოვიგებთ თამაშებს. ჩვენ გვინდა, რამდენიმე ნიჭიერი ყმაწვილის შეძენა და მათგან ძლიერი კალათბურთელების გამოზრდა.

— **ქართველებსაც ალბათ მაგ თვალით უყურებთ. რას იტყვით ვიქტორ სანიკიძეზე, რომლის აგენტიც ბრძანდებით და ვინც თქვენი დახმარებით აიყვანა „სან ანტონიომ“ დრაფტზე?**

— ქართველებს ნამდვილად ძალიან ნიჭიერი თაობა გეზრდებათ და მათგან ერთ-ერთი გამორჩეული ვიქტორ სანიკიძეა. ის ახლახან სან ანიტონიოში იმყოფებოდა, სადაც „სფურზის“ ხელმძღვანელობა გაიცნო.

— **სანანტონიოელებს თქვენთვის რამე ხომ არ უთქვამთ ოფიციალურ დონეზე?**

— სანიკიძე ჩვენი შუამდგომლობით იმყოფებოდა „სან ანტონიოში“ და, რა თქმა უნდა, ამ კლუბის წარმომადგენლებთანაც მქონდა საქმიანი საუბარი. მათ ძალიან მოეწონათ ვიქტორი, თუმც მისი წაყვანა ამავე სეზონში რომ არ სურდათ, თავიდანვე იყო ცნობილი. სანიკიძეს „სან ანტონიოში“ სავარჯიშო და სარეაბილიტაციო პროგრამა შეუდგინეს და „დიჟონში“ ის მთელი წელი ამით იხელმძღვანელებს. სამწუხაროა, რომ ვიქტორს მუხლი აწუხებდა და სანანტონიოელებმა ის საქმეში ვერ ნახეს, თუმც ამის გარეშეც დარწმუნებულნი არიან სანიკიძის მომავალში.

— **და რას აპირებენ კონკრეტულად?**

— „სან ანტონიოს“ მუდმივი წარმომადგენელი ეყოლება საფრანგეთში, რომელიც სანიკიძის თამაშებს, მის თითოეულ მოძრაობას დააკვირდება. სანანტონიოელებს სურთ, სეზონის განმავლობაში ერთხელ მაინც მიიწვიონ სანიკიძე თავისთან და გუნდთან ერთად ავარჯიშონ. ყველაფერი ახლა ვიქტორზეა დამოკიდებული. თუ ის მთელი მონდომებით შეეჭიდება საქმეს, ნბა-შიც მალე წავა.

ირაკლი პერტაია

ფინეთმა მოგებები გამოფინა

ფინელები აღარ ხუმრობენ — გუშინწინ მათ მორიგი სპარინგ-მატჩი მოუგეს არცთუ სუსტ ესტონეთს და საქართველოში გამომგზავრების წინ ფსიქოლოგიური საწვავით შემარაგდნენ.

თუმც რა შემარაგება სჭირდებათ ფინელებს, მათ საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მოსამზადებელ პერიოდში სპარინგ-მატჩების უმრავლესობა მოიგეს. არადა, ფინეთმა ჩვენზე გაცილებით მეტი შეხვედრა გამართა. ჯერ იყო და ბალტიის თასი მოიგო ერთობ სერიოზულ მეტოქეებთან, ესტონეთთან, ლატვიასთან და შვედეთთან ბრძოლაში. შემდეგ მოგებ-წაგებათა დადებითი ბალანსით შემოიარა ბენილუქსის ქვეყნები და ერთი კვირის წინ შვედებს კიდევ ერთხელ ამოდო ლაგამი — ორი მატჩი ჯამში 54 ქულით მოუგო.

და აი, საქართველოსთან ჯახამდე ბევრიც რომ აღარ რჩება, ფინელები შესარჩევი ტურნირისთვის სამზადისში მყოფ ესტონეთს ტალინში ამარცხებენ. ესტონეთი კი ის გუნდია, 2001 წლის ევროჩემპიონატზე რომ უთამაშია და 2003 წელს ამ ტურნირამდე ერთი ნაბიჯიღა დაჰკლებია. ესტებს ევრობასკეტ-2003-ის შესარჩევ ეტაპზე ბურთების სხვაობით აჯობა უკრაინამ და ფინალურ ეტაპზეც ამის წყალობით მოხვდა.

ესტონეთი ახლაც გამალებით ემზადება 2005 წლის ევროჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის და ფინეთი რომ თბილისში გამოფრინდება, ბალტიელები ამსტერდამში ჰოლანდიასთან საბრძოლველად მიდიან.

ამიტომაც იყო, ესტონელებმა უძლიერესი შემადგენლობა რომ დაახვედრეს ფინელებს და ბოლო მეოთხედამდე თითქოს ულხინდათ კიდეც. ლეო კრაავისა და ტანელ ტეინის ჩაუქობამ ბოლო მეოთხედის დაწყებამდე მასპინძლები 6 ქულით გაალიდერა. თუმც ფინელებმა სკანდინავიური ცივსისხლიანობა გამოიჩინეს, მასპინძლებს არ შეეპუენ და უდაბულეს ენდშპილში ესტონელები ბეჭებზე დადეს — 82:80.

ფინელთაგან ისევ ჰანო მოტოლა გახდა ბომბარდირი, თუმც მის მიერ მოხვეჭილ 18 ქულას ელფერს სროლათა ის რაოდენობა უკარგავს, რაც მოტოლამ მის მოგროვებას მოანდომა. ფინელთა ლიდერმა 11 ორქულიანიდან ოდენ 2 ჩააგდო... იჩაუქა ფინელმა იური ლეჰტონენმა, ვინც 14 ქულა მოაქეჩა.

წლეულს „მიტელდოიჩერში“ ფიბა-ევროპის თასის მომგებ და მანამდე კარგა ხანს გერმანიის ნაკრების გამწვრთნელ ჰენრიხ დეტმანს, ვინც დღეს ფინეთს უდგას სათავეში, ეტყობა, ისეთი ტაქტიკა შეურჩევია, რომ მისი გუნდი ქართველებთან მატჩის წინ სათამაშო პრაქტიკით მაქსიმალურად უნდა იყოს გამოკვებილი. ამიტომაცაა, რომ ფინელები მიჯრით თამაშობენ ამხანაგურ მატჩებს — ხან შვედებს აჩოქებენ და ხან ესტონელებს.

ირაკლი პერტაია

US OPEN 2004 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 19 050 000 $

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ნიუ იორკიდან

რუსის ტრაგედია არ დამთავრებულა

ანა ჩაკვეტაძემ ანა მისკინა ჩაჩოგნა

კაცები

მეორე წრე

კარლოს მოია (3, ესპანეთი) — ამერ დელიჩი (აშშ) 6:2, 3:6, 6:3, 6:2; **ტიმ ჰენმანი** (5, ბრიტანეთი) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:2, 6:4, 4:6, 7:6 (7:1); **ანდრე აგასი** (6, აშშ) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 7:5, 2:6, 6:2, 1:0 *მაიერმა შეწყვიტა*; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — გასტონ გაუდიო (9, არგენტინა) 6:3, 2:6, 6:4, 6:4; **სარგის სარგსიანი** (სომხეთი) — ნიკოლას მასუ (10, ჩილე) 6:7 (6:8), 6:4, 3:6, 7:6 (8:6), 6:4; **პარადორნ შრიჩაფანი** (15, ტაილანდი) — პოლ გოლდშტაინი (აშშ) 6:4, 7:6 (7:4), 6:0; **ანდრეი პაველი** (16, რუმინეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 7:5, 6:3, 7:6 (7:2); **ნიკოლას კიფერი** (19, გერმანია) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 7:6 (7:0), 6:3, 7:6 (7:4); **პოლ-ანრი მათიო** (საფრანგეთი) — ტაილორ დენტი (21, აშშ) 6:7 (6:8), 6:4, 6:3, 7:6 (8:6); **დომინიკ ჰრებატი** (22, სლოვაკეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:4, 6:3, 1:6, 5:7, 6:4; **ირჟი ნოვაკი** (25, ჩეხეთი) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 7:5, 6:1, 6:3; **მიხალ ტაბბარა** (ჩეხეთი) — მარდი ფიში (26, აშშ) 6:3, 3:6, 1:6, 6:3, 6:3; **ფაბრის სანტორო** (31, საფრანგეთი) — **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) 6:1, 6:3, 6:4

ქალები

მეორე წრე

ჟუსტინ ენენ-არდენი (1, ბელგია) — ციფორა ობცილერი (ისრაელი) 6:2, 5:7, 6:2; **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — ანასტასია მისკინა (4, რუსეთი) 7:6 (7:3), 6:3; **ლინდსი დევენპორტი** (5, აშშ) — არანჩა პარა სანტონია (ესპანეთი) 6:4, 6:2; **მარია შარაპოვა** (7, რუსეთი) — ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) 6:0, 6:7 (5:7), 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა** (9, რუსეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:3, 6:3; **ვინუს უილიამსი** (11, აშშ) — შიკა უბეროი (აშშ) 7:5, 6:1; **პაოლა სუარესი** (13, არგენტინა) — დალი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) 6:2, 6:2; **ნადია პეტროვა** (14, რუსეთი) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 6:2, 6:2; **სილვია ფარინა ელია** (19, იტალია) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვაკეთი) 6:2, 6:1; **ჩანდა რუბინი** (20, აშშ) — ანტონელა სერა ძანეტი (იტალია) 7:5, 6:3; **ემი ფრეზერი** (21, აშშ) — კრისტინა ბრანდი (პუერტო რიკო) 6:4, 6:1; **ელენა ბოვინა** (26, რუსეთი) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:2, 7:5; **მარი პირსი** (27, საფრანგეთი) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:0, 6:1; **ელენი დანილიდუ** (29, საბერძნეთი) — **ანაბელ მედინა გარიგესი** (ესპანეთი) 1:6, 7:5, 6:4

ქალთა ამქრის ჭინკა პირველოსან ჟუსტინ ენენ-არდენს ნიუ იორკის კორტებზე მესამე წრისკენ გზის გაკვალვა იმ დღეს ისე გაუჭირდა, თითქოს სადმე მანჭენეტურ საცობში მოხვედრილიყო. არ ვიცით, ებრაელ ციფორა ობცილერის ბრალი გახლდათ ეგ, თუ თავად ჟუსტინი ადგა მარცხენა ჩოგანზე, მაგრამ ფაქტი კია — ჭინკამ მატჩის მსვლელობისას 47 უნებლიე შეცდომა დაუშვა და ერთბაშად შვიდჯერ (!) დათმო თავისი გეიმი.

31 წლის ობცილერმა, ვინაც აქამომდელ ოთხ ჯერზე პირველ საკვალიფიკაციო წრეს ვერასოდეს გასცილებოდა, შარშანდელ ჩემპიონს ერთი სეტიც კი წაჰგვარა, მაგრამ საბოლოოდ მისი კლასის წინაშე ჩოგნის დახრა მაინც მოუხდა. მეორე სეტის ბოლოსკენ ავჩქარდი და საქმე იმიტომ გამიჯანჯლდაო, ასე იმართლებოდა ნამატჩევს ენენ-არდენი, თუმცა ბოლოს ჰალალად აღიარებდა — ციფორამ თავის მხრივ აღქაჯივით იქროლა და ძალიან მაგრად იმუშავა.

თუკი ენენმა მომდევნო წრეში მაინც გააღწია, მის ერთ უმთავრეს ტიტულმოცილედ შეგულებული ანასტასია მისკინას, წლევანდელი როლანგაროსობის ჩემპიონსა და მის მიერ ათენურ ნახევარფინალში ძლეულ მთავარრუსს სეზონის უკანასკნელ სლემტიტულზე ოცნებები თვისტომმავე, 17 წლის მოსკოველმა ანა ჩაკვეტაძემ ჩაუხშო.

ჩაკვეტაძემ პირველ წრეშიც ძლიერ მეტოქეს, ავსტრიელ ბარბარა შეტს აჯობა, მაგრამ ჩოგნით ასეთი მძლავრი სენსაციის ამფეთქებელ ილაჯს თუ დაატარებდა, მაგას მაინც ვერ წარმოვიდგენდით.

მისკინამ კი მატჩი აშკარად ჩააგდო — უნდილად მოთამაშემ ჯამში 37 უნებლიე შეცდომა დაუშვა და 74 წუთზე მეტხანს კორტზე ვერ გაძლო. ეს შეხვედრა ჩემთვის ძალიან ცუდი გამოდგაო, იძახდა მერე: „საერთოდ ვერაფრის გაკეთება ვერ შეეძელი, ვერც დავრბოდი, ხალისიც არ მქონდა. როგორც ჩანს, ოლიმპიადის მერე აღდგენა ეგრეც ვერ მოვახერხე. იმის მიუხედავად, რომ ნიუ იორკში თითქმის უკვე ერთი კვირა ვარ, ათენურ ტრაგედიაზე ფიქრებს მაინც ვერ შევეშვი.“

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიურ ნახევარფინალში მისკინა ენენ-არდენს გადამწყვეტ სეტში 5:1 უგებდა და ბოლოს მაინც 5:7 დათმო...

ანა ჩაკვეტაძე კი, ცხადია, ნამატჩევს უჩინებულეს გუნებაზე იყო — ჯერ ვერ ვიჯერებ, რუსეთის ნომერ პირველ მეჩოგნეს რომ მოვუგეო — ამბობდა.

ცნობისთვის: ანა 1987 წლის 5 მარტს მოსკოვში დაიბადა, პროფესიულ ჩოგბურთს შარშანდლიდან მისდევს და 23 აგვისტოს რეიტინგსიაში 174-ე ადგილზე იდგა.

ბუნებრივია, რომ ასეთი ხმაურიანი წარმატებების შემდეგ ის მსოფლიო იერარქიაში ზორბად აღზევდება, რაც იმის გარანტიაც უნდა იყოს, რომ მომავალში მასზე წერა კიდევ უფრო ხშირად მოგვიწევს.

სხვაფრივ: ტურფათა მხარეზე მეტი მოულოდნელობა იმ დღეს აღარ აღნიშნულა. მარია შარაპოვას ისევ სამსეტიანი ბუღრაობის გადატანა მოუხდა, თუმცა ეს მატჩი სცენარით უფრო ენენ-არდენისა და ობცილერისას ჰგავდა — დამაჯერებლად მოგებულ სეტებს შორის ორივემ ერთი მძიმე სეტი წააგო.

კვლავ არადამაჯერებლად გაირჯა ტურნირის ორგზის ჩემპიონი ვინუს უილიამსიც — 21 წლის თვისტომ უბეროისთან, ვინაც რეიტინგსიაში 275-ე ადგილზე დგას, ის პირველ სეტში სულაც 1:4 აგებდა. თუმცა, როგორც კი მატჩში გარდატეხის შეტანა შეძლო, მერე აღარაფერი გასჭირვებია. მილეთი ვარაუდობს, რომ ამაზე გაცილებით მეტად მას მომდევნო წრეში ჩანდა რუბინის წინააღმდეგ უნდა მისჭირდეს.

ლინდსი დევენპორტმა კი თავისი ზედიზედ მე-19 გამარჯვება მიითვალა. მართალია, მატჩი ოდნავ მძიმედ დაიწყო, მაგრამ მერე საჯაროდ აღგვითქვა, რომ მომდევნო შეხვედრებში გაცილებით უფრო ცქვიტად დაიწყებს. ამაზე ელენა ბოვინამ უნდა იდარდოს, რაკიდა ლინდსის ცქვიტი სტარტის ატანა მესამე წრეში სწორედ მას მოუწევს.

რაც შეეხება ხვადრიონს, განთეილები აქ უფრო ხვავრიელად აოტეს. ოტებულთ წლევანდელი როლანგაროსობის ჩემპიონმა გასტონ გაუდიომ და ათენურ ოლიმპიადაზე ორი ოქროს მომრეწმა ჩილელმა ნიკოლას მასუმ „უყოჩეს“. მასუს პარალელურად — სხვათა შორის — ჩოგანი ათენის ვერცხლისმედალოსანმა მარდი ფიშმა და ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში ფერნანდო გონსალესთან დამარცხებულმა ტაილორ დენტმაც დააშალითეს.

გაუდიოს გამოცდილი შვედი, 2002 წლის ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი ტომას იოჰანსონი გაუსწორდა. შვედმა, ვისაც წინა ორი ფლეშინგმედოუზობა ტრავმების გამო გაუცდა, მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქეზე უკეთ აწოდა და გადამწყვეტ მომენტებშიც უფრო აუღელვებელი იყო. ისე, რომ გაუდიო ნამატჩევს არც იმართლებოდა, ეგეთებიც ხდებაო.

აი, მასუ კი სომეხ სარგის სარგსიანთან გადატანილი 5 საათიანი და 10-წუთიანი თრილერის მერე ძირითადად მთავარ მსაჯს კარლოს რამოსს ერჩოდა, რომელმაც ის მატჩის მსვლელობისას სამჯერ და — მისი აზრით, ცხადია — უსამართლოდ გააფრთხილა. მაგ ტიპს საერთოდ მსაჯობა უნდა აუკრძალოო, ამბობდა ის, თუმცა იმასაც ხომ რამოსს ვერ დააბრალებდა, რომ გადამწყვეტ სეტში 6:5-ზე მის სასარგებლოდ მან მატჩბურთის გამოყენება ვერ შეძლო.

ლიდერთაგან შედარებით იოლი გამარჯვება ერგო ანდრე აგასის, რაკიდა მისმა გერმანელმა მეტოქე მაიერმა მეოთხე სეტის დასაწყისში მატჩი ბარძაყის ტრავმის გამო შეწყვიტა. ტიმ ჰენმანს კი ფრანგ ჟერომის დასათრგუნად თავის ზურგის ტრავმასთან გამკლავებაც დასჭირდა.

ლევან კელაურაძე



REUTERS ნიუ იორკიდან

ორლიმპიური ჩემპიონი ნიკოლას მასუ ნაადრევად გაისტუმრეს „ფლეშინგ მედოუზიდან“

შუმახერს დაემტვრა

რალფს საჭესთან არ უშვებენ

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

თითქმის ორთვიანი საზაფხულო აკრძალვის შემდეგ მეფორმულეებმა რბოლებს შორის სატესტო ვარჯიშები განაახლეს. მილანის მახლობლად „მონცას“ ავტოდრომზე, სადაც 12 სექტემბერს იტალიის დიდი პრიზი გათამაშდება, ტექნიკური სიახლეების გამოსაცდელად სამი დღით შეიკრიბნენ ათივე გუნდის პილოტები.

პირველ დღეს უსწრაფესი იყო მსოფლიოს უკვე შვიდგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერის „ფერარი“, 5,793-კილომეტრიან წრეს ტრასის რეკორდით შემოუქროლა. მეორე დღესაც შუმისთვის თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა და 92 წრის გავლაც მოასწრო, მაგრამ ვარჯიშის ბოლოს მძიმე ავარია შეემთხვა. მისი ბედაური თითქმის 300-კილომეტრიან სიჩქარეზე უკანა მარცხენა ბორბლის დაზიანების გამო გზას გადასცდა, დაბზრიალდა და დამცავ კედელს მიეხეთქა. ბოლიდი ისე დაილეწა, აღდგენა ვერ მოხერხდებაო, მრბოლი, საბედნიეროდ, უვნებლად გადარჩა და კოკპიტიდან უპრობლემოდ ამოვიდა, თუმცა მერე იქვე ბალახზე წამოწვა. შემთხვევის ადგილზე მაშინვე გაჩნდნენ სტიუარდები და ექიმები საკაცით, მაგრამ მიხაელს მათი დახმარება აღარ დასჭირვებია და სტიუარდების მანქანაში დაუხმარებლად ჩაჯდა.

ინციდენტის მიზეზზე „ფერარის“ ხელმძღვანელობას ოფიციალური განცხადება არ გამოუქვეყნებია.

აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ მიხაელ შუმახერის უმცროსი ძმა, 29 წლის რალფი, რომელიც 20 ივნისს ინდიანაპოლისში, აშშ-ის დიდი პრიზისთვის რბოლისას ავარიის შემდეგ უკვე გამოჯანმრთელდა და მონცაში გავარჯიშებასაც აპირებდა, მაინც ვერ მიუჯდება საჭეს. წინააღმდეგია პატარა შუმის დამზღვევი კომპანია, რომელიც ახლა თავად იზღვევს თავს შესაძლო რეციდივისგან, ექიმების მიერ დადგენილი 12-კვირიანი სარეაბილიტაციო ვადა ჯერ არ გასულაო.

ასე რომ, „უილიამსის“ პილოტი მეექვსე, იტალიურ ეტაპსაც გამოტოვებს და მას ამჯერადაც ბრაზილიელი ანტონიო პიცონია შეცვლის.



მსოფლიოს თასი 2004 30 აგვისტო — 14 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიუს ზუბრუსი მალე პირველ შაიბას გაუტანს ამერიკელებს

ერიდეთ რუსებს

ამერიკა ჭერ მოერიდა

2 სექტემბერი

ევროპული ჯგუფი

გერმანია 0:3 ფინეთი

0:1 0:1 0:1

0:1 ტიმონენი (11), 0:2 სელიანე (32), 0:3 ლეჰტინენი (56)

ფინელებმა ეს მატჩი ისე ჩაატარეს, როგორც მაღალი კლასის გუნდს შეეფერება — სრულიადაც არ ნერვიულობდნენ, მარჯვედ გამოიყენეს თავიანთი შანსები და ყველა პერიოდში თითო გოლის ხარჯზე საგრძნობი უპირატესობა მოიპოვეს. სტუმრები მშვიდად ელოდნენ თავიანთ შანსს და როგორც კი გერმანელები ზედმეტად იუხეშებდნენ, უმალვე იყენებდნენ რიცხვმრავლობას. პირველი ორი შაიბა ფინელებმა სწორედ ასეთ სიტუაციაში გაიტანეს, თანაც ტეემუ სელიანემ იმ დროს შეაგდო, როცა მის გუნდს ორკაციანი უპირატესობა ჰქონდა. „სუომელთა“ წინა მეტოქე ჩეხეთისგან განსხვავებით გერმანელები გაცილებით აქტიურობდნენ, მაგრამ სტუმართა მეკარე მიკა კიპრუსოფმა კვლავ არ გააჭაჭანა შაიბა თავის კარში. მან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ამ ერთ წელიწადში დიდ მეკარედ ჩამოყალიბდა.

ამერიკული ჯგუფი

აშშ 1:3 რუსეთი

0:0 1:1 0:2

0:1 ზუბრუსი (33), 1:1 ტკაჩუკი (34), 1:2 კოვალიოვი (46), 1:3 კოზლოვი (59)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს რუსების საუკეთესო მატჩი იყო. მართალია, ამ 13 წლის განმავლობაში რუსებმა ოლიმპიადაც მოიგეს, სხვა მედლებიც მოიპოვეს და ერთხელ მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაიმარჯვეს, მაგრამ, გვერწმუნეთ, ამ ხნის განმავლობაში მათ ესოდენ მრისხანე მეტოქე ასე პირწმინდად ნამდვილად არ დაუჩაგრავთ. არადა, მატჩის წინ რუსთა წარმატებას თითქმის არავინ ელოდა, აშშ კი კანადასთან მარცხის შემდეგ უფრო უნდა გაალმასებულიყო.

რუსებთან დაკავშირებით ხშირად იხსენებდნენ იმ კონფლიქტს, რომელიც წინ უძღოდა მათი თასისთვის მზადებას, „სარბიელიც“ წერდა ამის თაობაზე, ახლა კი მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ სტუმართა კარში ნჰლ-ის ქვედა ლიგაში მოთამაშე ილია ბრიზგალოვი ჩადგა, რადგან მათი საუკეთესო მეკარეები ნიკოლაი ხაბიბულინი და ევგენი ნაბოკოვი მიზეზთა გამო ნაკრებს მიღმა დარჩნენ. ბრიზგალოვმა საკმაოდ კარგად ჩაატარა შეხვედრა, თუმც რუსების გამარჯვების მთავარ მიზეზად ამას ვერ ჩავთვლით. მათ აშკარად ავჯობეს მეტოქეს და ეს თვალში საცემი იყო მთელი მატჩის განმავლობაში. რუსთა უსწრაფესი და ლამაზი კომბინაციები სრული სიურპრიზი გამოდგა არა მარტო ხანდაზმული ამერიკელებისთვის, არამედ გადაჭედილი „ექსელ სენთერის“ მაყურებელთათვისაც. აშშ-ს ქომაგებს მხოლოდ ორჯერ გაახსენდათ, რომ მათ გუნდს მხარდაჭერა სჭირდებოდა, ისე პირდაღებულები უყურებდნენ, როგორ აბითურებდნენ რუსები მათიანებს.

ანგარიში ჯერ კიდევ პირველ პერიოდში უნდა გახსნილიყო, მაგრამ ფანტასტიკურად მოთამაშე რობერტ ეშმა (მან მთლიანობაში 42 დარტყმა მოიგერია) არაერთხელ სასწაულებრივ იხსნა გუნდი, ხოლო რუსებს გადამწყვეტ მომენტში არ უღიმოდათ ბედი. სამაგიეროდ, გოლი არცთუ ისე სახიფათო მომენტში გავიდა. ლიტველი დაინიუს ზუბრუსი, რომელსაც რუსეთის ნაკრებში გამოსვლის ნება დართეს, კარის უკნიდან გასრიალდა და პასი გააკეთა, მაგრამ შაიბა ამერიკელ მცველს მოხვდა და ბადეში აღმოჩნდა. ამ გოლის შემდეგ გააქტიურდნენ ამერიკელები და მაიკ მოდანოს უზუსტესი პასით კეიტ ტკაჩუკმა აღადგინა წონასწორობა, მაგრამ შემდეგ მოვლენები კვლავ რუსთა კარნახით განვითარდა და საბოლოოდ 46-ე წუთზე ალექსეი კოვალიოვის სასწაულებრივი გოლიც ვიხილეთ. მან ჯერ ორი მცველი დაიბრიყვა, შემდეგ კი ცრუმოძრაობით ყინულზე გაშხლართა ეში და ცარიელი კარი დაცხრილა. ამას ამერიკელთა ხანმოკლე ათამაშება მოჰყვა, მაგრამ მათი მცდელობა ამაო იყო. მატჩის მიწურულს კი ეშიც შეცდა (ბოლოს და ბოლოს, რობოტი ხომ არ არის) და ვიქტორ კოზლოვის გასროლილი შაიბა ფეხებს შუა გაუშვა.

„რობერტმა ყველაფერი გააკეთა, რათა ამ მატჩში დიდი სირცხვილი არ გვეჭამა. რუსებმა გამოაცეს თავიანთი ენერგიულობით, ჩვენ კი მათ ვერაფერი დავუპირისპირეთ“ — აღიარა ნამატჩევს ამერიკელთა ბებერმა მცველმა კრის ჩელიოსმა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ მოულოდნელად ფავორიტად ქცეული რუსეთისა და მარადიული ფავორიტი კანადის თამაშს, რომელიც 4 სექტემბერს გაიმართება.

სამგელ ღარიბიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ბუენოს აირესიდან

REUTERS ტერესპოლისიდან

კვლავ დასხვედრები

ოლიმპიელები შინ ბრუნდებიან და ფიდელ კასტრო პატივით ესაუბრება ოსლეიდის მენენდესს, შუბის მტყორცნელ გოგოს, რომელმაც კუბაზე ოქრო ჩაიტანა. სულ კუბელებმა ცხრა ოქროს, შვიდი ვერცხლის და თერთმეტი ბრინჯაოს მედალი მოიგეს.

ამათ არც რუმინელები ჩამორჩებიან დიდად, რვა ოქროთი, ხუთი ვერცხლით და ექვსი ბრინჯაოთი. ტანმოვარჯიშეთა გუნდი ტრადიციულად ძლიერი იყო. ძველ ოქროთა მომგებმა, დიადმა ნადია კომანეჩიმაც იხარა.

ჩინელ იაო მინგს ოქრო არ მოუგია, რადგან კალათბურთელია, თუმცა თარჯიმრბენმა ლიუ შიანგმა კი მოიგო და ამ ორ შანხაელ ბიჭს მშობლიურ ქალაქში დიდი ამბით დახვდნენ. ჩინელებს არასოდეს მოუგიათ ამდენი ოქრო — ათენიდან მათ 32 პირველი სინჯის მედალი წამოიღეს.

ბრაზილიელი გოგონები ვერცხლს დასჯერდნენ ოლიმპიურ ფეხბურთში, თუმცა მაინც კარგ ხასიათზე არიან და ტერესპოლისში ბანაკად მდგომ კაცთა ნაკრებს სწვევიან. ცხადია, რობერტო კარლოსი ყველაზე ენაწყლიანი იყო.

REUTERS ბანგკოკიდან

REUTERS ბანგკოკიდან

ჯეი ლენოსთან

REUTERS ბურბანკიდან

ტურ დე ფრანსის მართლაცდა რომ ლეგენდა ლენს არმსტრონგი (მოტოზე) ამერიკაში მასზე არანაკლებ განთქმულ მოღლაბუცის ჯეი ლენოს (ლენსის უკან) ღამის შოუში მიუწვევიათ. ლენოსთან არც პირველად მისულა და, არც უკანასკნელად, თუმცა ველოსიპედარი რაღაც განსაკუთრებულ მოტოციკლეტზე კი დაუსვამთ.

გამარას კვალი

პარაგვაიშიც, ასუნსიონშიც არის დიდების ხეივანი და იქაური ფეხბურთის ვარსკვლავი კარლოს გამარა იმის ღირსად ჩაუთვლიათ, რომ თავისი ნაკვალევი სამუდამოდ დაეტოვებინა ამ ხეივნის ცემენტზე. ტოლ ნორმა (სათვალით) გახარებულია.

REUTERS ასუნსიონიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპაჭიდლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლიაბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge